გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

# ლელო

№ 82
(11 539)

19 – 22 ოქტომბერი, 2001 წ.

ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# „ქართველი რომაელების" პრინციპები სპორტული ბაზების პრივატიზებაში

## ანუ გვინდა თუ არა სპორტი საქართველოში? დანაკარგს თუ დანაკარგი მივამატეთ, შთამომავლობა შეგვრისხავს

„ნეტავ ასეთი რად მერგო ბედი, ყოველდღე ვკარგო თითო იმედი" – წერდა დიდი გალაქტიონი. პოეტის ეს სიტყვები დღეს ბევრმა გაითავისა და უიმედოდ განწირულთა შორის, ქვეყნისათვის სავალალოდ და სამარცხვინოდ, ქართული სპორტიც აღმოჩნდა. უიმედობა ადამიანის სულიერ სფეროს განეკუთვნება და თუ ეს რას ნიშნავს, ხალხმა ჩინებულად იცის. ყველა თავისას მისტირის, ჩვენ ჩვენსას. უმადურობამ, რასაც დღეს იჩენენ სახელმწიფო ჩინოვნიკები ქართული სპორტის ტრადიციების მიმართ, უკვე კულმინაციას მიაღწია. ფინანსთა სამინისტროში ბიუჯეტიდან გამოყოფილი კუთვნილი თანხის მოთხოვნისას უარს შეგებებულ პასუხს: „მსოფლიოს ჩემპიონატზე გუნდი ვერ წავა" – ასე პასუხობენ: „ნუ წავა!" აი სადამდე მივიდა საქმე და უარს, რომ უარი მოსდევს, ჩემპიონატს რომ ჩემპიონატზე ვტოვებთ და მედლებთან ერთად მსოფლიო სპორტული სამყაროს თვალში სპორტული ქვეყნის ავტორიტეტს რომ ვკარგავთ, იქ, ზევით, ქვეყნის ფინანსური მამები, არაფრად დაგიდევენ. ზეწოლის დამუღამებული მეთოდი აქვთ შემუშავებული – თხოვნას ერთხელ კი არა, მრავალგზის აგიგდებენ ბანზე და გაიძულებენ შეგაჩვიონ. გამოდის, რომ ხალხს, რაც წაგლიჯეს, იმას არ სჯერდებიან და ახლა სპორტსაც ართმევენ. არ ვიცით, ცნობილმა მწერალმა და ისტორიკოსმა ლევან სანიკიძემ თავის წიგნში ასახულ ქართველთა 309 სირცხვილს კიდევ რამდენი მიუმატა ბოლო წლებში, მაგრამ ერთ-ერთი მათგანი, რომ ქართული სპორტის მოძულება იქნება, ეჭვს არ იწვევს.

ქართული სპორტის წინააღმდეგ ფართომასშტაბიან ომში აქამდე ფარული მეორე შეტევა, მეორე ფრონტი ახლა ხილულად გაიხსნა. საქმე ეხება სპორტული ბაზების მითვისება – დაპატრონებას, რომ ქართული გენი, რომელიც ასე წარმოჩინდა სპორტში, ძირშივე ჩაკლან.

რომაელები მსოფლიო ბატონობის განმტკიცებისთვის, ცხოვრებაში ატარებდნენ პრინციპს: დაქსაქსე და იბატონე!" ხალხის ქონების მიტაცების „ჩვენებურმა რომაელებმა" ეს პრინციპი, ალბათ, სხვა ქვეყნებზე უკეთ გამოიყენეს თავიანთი კაპიტალის გაბატონებისათვის. მაგალითად, დაქსაქსე მსხვილი საწარმოები, სხვა სახელმწიფო ობიექტები, აქციე შპსეებად და... იბატონე! დაყნოსეს თუ არა, გასაყიდი სახალხო საკუთრების დეფიციტის მოახლოება, ამ „ქართველმა რომაელებმა" მიიხედ-მოიხედეს და თავიანთი მადა ჯერ კიდევ მყარად მდგარ სპორტულ ობიექტებზე გადაამისამართეს. ჩათვალეს, რომ სწორედ ახლა დადგა შეტევის დრო და მიტაცების მძლავრი მეთოდის ამოქმედების ჟამი. დარწმუნდნენ რა იმაში, რომ ჩვენი სპორტული ბაზები ისედაც დაქსაქსულია უწყებრივად და გაცილებით იოლია ხელში ჩასაგდებად, ამოქმედება დაიწყეს. რას ვუპირისპირებთ „ახალი ქართველების" თუ „ქართველი რომაელების" კაპიტალის ამ შემოტევას?

ერთადერთ დამცველ მექანიზმად გვესახება ჯერ კიდევ გაუსხვისებელი სპორტული ობიექტების სასწრაფოდ აღრიცხვა, მათი ხელახალი პასპორტიზაცია და ერთი პატრონის ხელში გაერთიანება. სახელმწიფოს თუ სპორტის შენარჩუნება სურს, ეს ნაბიჯი აუცილებლად და დაუყოვნებლივ უნდა გადადგას. ქვეყანაში სპორტის ხელმძღვანელი სახელმწიფო სტრუქტურა სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტია და სწორედ მის განკარგულებაში უნდა გადავიდეს ყველა სპორტიული ობიექტი, მიუხედავად იმისა, რომელი უწყების ბალანსზეა დღეს იგი.

ჭკუის სასწავლებელი საკმაო მაგალითები გვაქვს. სამკუთხედი: ბაზის მეპატრონე – ქონების მართვის სამინისტრო – მყიდველი, სულაც არ წარმოადგენს სპორტზე ზრუნვის სიმბოლოს. პირიქითაა. აგერ გადის დრო და თანდათან ცხადდება, რომ თურმე თავის დროზე ხელში ჩაგდებული სპორტული ობიექტის მეპატრონეს ხელშეკრულებაში არავინ ჩაუწერა და დაავალდებულა ბაზისთვის სპორტული პროფილის შენარჩუნება. ახლა ამ გაუმართლებელი პრეცედენტების განზოგადება და სისტემად ქცევა სურთ.

მოკლედ, იქით ფინანსური ბოიკოტი, აქეთ სპორტული ბაზების ხელში ჩასაგდებად გაშლილი მეორე ფრონტი. ხოლო თუ საით ვუბიძგებთ ახალგაზრდა თაობას, რას ვუტოვებთ შთამომავლობას, დღეს ამაზე არავინ ფიქრობს. ბოლოს და ბოლოს, ერის სიჯანსაღეზეც უარს ვამბობთ?

ერთ მოაზროვნეს უთქვამს: „ბედნიერია ის ერი, რომელთა შორის იშვა თანამედროვეობისა და შთამომავლობის მოძღვარნი".

ერის როგორი მოძღვრები ზრუნავენ ქართულ სპორტზე, თავად განსაჯეთ...

თენგიზ გაჩეჩილაძე




## 8 ალენ პროსტი დახმარებას არა სპორტის მინისტრისგან, არამედ სპონსორებისგან ითხოვს...

# დავით ყიფიანს ფიფას ორდენი მიენიჭება



ფეხბურთში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის დავით ყიფიანი სიცოცხლეშივე იყო წარდგენილი ფიფას ორდენზე. როგორც გუშინ სფფ-დან გვაცნობეს, ფიფას ორდენი, გარდაცვალების შემდეგ დავით ყიფიანს მიენიჭება გაისად გაზაფხულზე, ფიფას კონგრესზე.

# რა მოჰყვება „ბრინჯაოს"?



აზერბაიჯანის დედაქალაქში გრძელდება კადეტ მოკრივეთა (1985-86 წ.წ. დაბადებულები) მსოფლიო პირველობა. დღეს ბაქოს რინგზე გაიმართება ნახევარფინალური შეხვედრები, რომლებშიც გამოვა საქართველოს სამი წარმომადგენელი: გორელი ვამეხ ტერაშვილი (63,5 კგ), თბილისელები: თორნიკე იველაშვილი (67 კგ) და გიორგი ცერცვაძე (71 კგ), რომლებსაც უკვე განაღდებული აქვთ ბრინჯაოს მედლები და ახლა უფრო მაღალი სინჯის ჯილდოსთვის უწევთ ბრძოლა...




## „ავტოდორს" ვინ გაუმკლავდებოდა...

# ფოტოჟურნალისტებისა და მოყვარულთა საყურადღებოდ!

26 ოქტომბერს, 12 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სხდომათა დარბაზში გაიმართება შეხვედრა პროფესიონალ და მოყვარულ ფოტორეპორტიორებთან იაპონიაში მსოფლიო კონკურსზე გასაგზავნი ფოტონამუშევრების შერჩევის ორგანიზაციულ საკითხებთან დაკავშირებით.

დაწვრილებით ცნობებს მიიღებთ უშუალოდ შეხვედრაზე.



ბაიერნი – სპარტაკი




ლოკომოტივი – რომა



პორტუ – სელტიკი



ნისტელროის (მუქ მაისურში) „დუბლმაც" ვერ უშველა მანჩესტერს

მანჩესტერი – დეპორტივო




როდა – მაკაბი (თელ-ავივი)

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 10 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 115 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

**მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!**



## სოკ-ი ევროპის მთავრობებისგან მხარდაჭერას ითხოვს

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჟაკ როგმა წინადადება მისცა ევროპის ქვეყნების სამთავრობო სტრუქტურებს მეტი მხარდაჭერა აღმოუჩინონ სპორტს და დაიცვან იგი დოპინგ სკანდალებისგან.

„ჩვენ ვისურვებდით, ევროპის ქვეყნების მთავრობებმა მეტად შეუწყონ ხელი სპორტის პოპულარიზაციას და მისი სტრუქტურების ინტერესების დაცვას. სპორტის კომერციალიზაცია არც ისე დიდი ბოროტებაა, მთავარია, სპორტული ორგანიზაციები მოერგონ დღევანდელობის რეალობას“ – ნათქვამია ჟაკ როგის მიმართვაში. სოკ-ის პრეზიდენტის თქმით, ბრძოლა დოპინგის წინააღმდეგ, ესაა ბრძოლა სპორტისა და მისი იდეების შესანარჩუნებლად.

## ნორვეგიელმა მეთხილამურეებმა შეიძლება უარი თქვან ოლიმპიადაში მონაწილეობაზე

ამას ნორვეგიის გუშინდელი პრესა იუწყება. სოლტ-ლეიკ-სიტიში 2002 წლის ზამთრის ოლიმპიადაში მონაწილეობის მიუღებლობის მიზეზად სახელდება მოსალოდნელი ტერორისტული აქტებით გამოწვეული შიში. „სავსებით მიუღებელია ოლიმპიური თამაშების ჩატარება იმ ქვეყანაში, რომელიც ჩართულია ომში“ – წერს გაზეთი „ანდრესევისენი“, იმოწმებს რა მეთხილამურე ჰილდე პეტერსონის სიტყვებს. დანარჩენი ნორვეგიელი ოლიმპიელები მიიჩნევენ, რომ თამაშების გაჭიანურებული გახსნის ცერემონია შესანიშნავ ფონს ქმნის ტერორისტებისთვის. საქმე შეიძლება იქამდე მივიდეს, რომ ნორვეგიელმა სპორტსმენებმა ინდივიდუალურად მიიღონ გადაწყვეტილება, წავიდნენ თუ არა სოლტ-ლეიკ-სიტში საასპარეზოდ.



## ოლიმპიური ცეცხლი პირველად გაანათებს ალიასკას

2002 წლის 24 იანვარს, ოლიმპიური ჩირაღდანი, ურომლისოდ არც ერთი ოლიმპიადა არ ჩაივლის, სოლტ-ლეიკ-სიტისკენ მიმავალ გზაზე, ალიასკაზე შეივლის. ამერიკის ამ შტატისთვის ეს იქნება პირველი ისტორიული მოვლენა. საერთოდ, ოლიმპიური ცეცხლი, რომელსაც თვითმფრინავით ჩაიტანენ ამერიკაში, 13,5 ათას კილომეტრს გაივლის, აქედან 11,5 ათას კილომეტრზე მორბენლები წაიღებენ, რომელთა შორის რიგითი ამერიკელებიც იქნებიან. სიმბოლურია, რომ ოლიმპიურ ცეცხლს, შობის ღამეს, 25 დეკემბერს, ნიუ-იორკში ჩაიტანენ. რა არის ეს, წინასწარი განზრახვა თუ დამთხვევა? თქვენ წარმოიდგინეთ, რომ დამთხვევაა, რადგან მარშრუტი და გეგმა დიდი ხნით ადრე იყო შემუშავებული, ვიდრე 11 სექტემბერს ნიუ-იორკში ტერაქტი მოხდებოდა.

# „კლდის ვეფხვის“ ნაკვალევზე

ბათუმიდან 15-20 წუთის სავალში, სოფელ კვარიათის კლდეებზე წლეულს „კლდის ვეფხვის“ მიხეილ ხერგიანის მემორიალი მეშვიდედ ჩატარდა. წინასწარი ინფორმაციით, მემორიალზე რუს და თურქ მეკლდეურებსაც მოელოდნენ, თუმცა კოდორის ხეობის ცნობილმა მოვლენებმა კვარიათში თავი მხოლოდ ქართველ სპორტსმენებს მოუყარა. მიხეილ ხერგიანის ხსოვნისადმი მიძღვნილმა ტურნირმა თბილისის, აჭარის, ყაზბეგის, მესტიის, ლენტეხის, ქარელის, ქუთაისის 60-მდე მეკლდეური გამოიყვანა სტარტზე.

შეჯიბრების დებულების თანახმად, ხუთი დღის მანძილზე, როგორც ქალთა, ისე ვაჟთა შორის, პირველობა რთულ ცოცვაში, წყვილთა გარბენი და აბსოლუტური პირველობა უნდა ჩატარებულიყო, თუმცა, ამჯერად, კორექტივი ამინდმა შეიტანა – ერთი დღე კვარიათში გადაუღებლივ წვიმდა და ორგანიზატორებიც იძულებულნი გახდნენ სუპერფინალებზე უარი ეთქვათ.

პირველი ორი დღე რთულ ცოცვას დაეთმო. ვაჟთა შორის ამ სახეობაში სტარტი 40-მა სპორტსმენმა აიღო. საკვალიფიკაციო ეტაპის შემდეგ, 16 საუკეთესო შედეგის მეკლდეურებმა საბოლოო მიზნისათვის გააგრძელეს ბრძოლა. ერთი დეტალი: „მიხეილ ხერგიანის მემორიალზე“ ბოლო წლების ტრადიციით, ფავორიტთა შორის წლეულს არ იყო ზაზა გურჩიანი – ხერგიანის მემორიალების მრავალგზის გამარჯვებული, სამაგიეროდ, აჭარის წარმომადგენლის ვალერი ფერაძის და თბილისელი ძმების გიორგი და შოთა კომახიძეების პაექრობაში აქტიურად ჩაებნენ ვეტერანი მამუკა თვაური და გიორგი კომახიძის მოსწავლე ალეკო დოლიაშვილი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი – რთულ ცოცვაში 16 საუკეთესოს შორის, გიორგის 5 მოსწავლე მოხვდა.

რთული ცოცვის ფინალში საუკეთესო დრო ვალერი ფერაძემ აჩვენა, თუმცა ტრასა ბოლომდე მხოლოდ თბილისელმა ალეკო დოლიაშვილმა (თბილისი 1) გაიარა. მან სარფისკენ გზად მიმავალი მაყურებლის ექსპრომტი პრიზიც კი დაიმსახურა, თუმცა დებულებით, ჩემპიონი ვალერი ფერაძე გახდა, მესამე იყო გიორგი კომახიძე (თბილისი 1 ).

სხვათა შორის, მეორე სახეობაში – წყვილთა გარბენში, საბოლოოდ პრიზიორთა სამეულში მხოლოდ ერთი გვარი შეიცვალა. II ადგილი ლენტეხის წარმომადგენელმა გურამ გაზდელიანმა დაიკავა. ჩემპიონი ამ სახეობაშიც ვალერი ფერაძე გახდა. მესამე კი კვლავ გიორგი კომახიძე იყო.

ქალთა შორისაც „მიხეილ ხერგიანის მემორიალის“ ორივე სახეობას ერთი გამარჯვებული ჰყავდა. როგორც რთული ცოცვა, ასევე წყვილთა გარბენები წარსულში საბჭოეთის ჩემპიონატების არაერთგზის გამარჯვებულმა და პრიზიორმა, საქართველოს ჩემპიონმა ეკა ჭკადუამ (თბილისი — I) მოიგო.



*შეჯიბრების ერთ-ერთი მომენტი*
*თამუნა ჯიშკარიანის ფოტო*



*მიხეილ ხერგიანი*

ვაჟების მსგავსად, ქალთა ასპარეზობაც საკმაოდ დაძაბული გამოდგა. რთულ ცოცვაში მეორე ადგილზე გასულმა სოფიო თვარაძემ (თბილისი) მომდევნო ადგილზე გასულ სპორტსმენებს სულ რაღაც 10-15 სანტიმეტრით მოუგო. ამ სახეობაში III ადგილი ორმა მეკლდეურმა, ხერგიანის მე-6 მემორიალის გამარჯვებულმა ნინო ჩარკვიანმა (თბილისი I) და მოსწავლეთა სპარტაკიადის 2001 წლის გამარჯვებულმა თაკო დიდებულიძემ (თბილისი — II) გაიყვეს.

წყვილთა გარბენშიც ძირითადი ბრძოლა სწორედ ამ ოთხ სპორტსმენს შორის გაიმართა. საბოლოოდ კი ადგილები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა: 1. ეკა ჭკადუა, 2. ნინო ჩარკვიანი,3. თაკო დიდებულიძე, 4. სოფო თვარაძე.

„მიხეილ ხერგიანის მემორიალზე“ 2001 წელს გუნდური პირველი ადგილი თბილისის — პირველ გუნდს ერგო. აღსანიშნავია, რომ გამარჯვებულებს ფასიანი საჩუქრების გარდა, ფულადი ჯილდოებიც გადაეცათ. მემორიალის ფინანსური უზრუნველყოფა, ტრადიციულად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებამ ითავა.

**თამუნა ჯიშკარიანი,**
კვარიათი — თბილისი.

## ფალავნობა – 2001 ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში



**ეს შეჯიბრება** აკადემიის ტრადიციული ასპარეზობაა. პირველად, 1997 წელს, აკადემიელებმა საკუთარი ძალებით მოაწყვეს ნახევრხმოყრილი ქართული ჭიდაობის ღია არენა. წლეულს, უამინდობის გამო, სპორტის ამ ეროვნული სახეობის მოტრფიალე სტუდენტებმა, ასპარეზობა ფალავანთა კლუბში გამართეს. ტრადიციულად, შერკინებები ფალავნობისთვის ზურნა-დუდუკის თანხლებით ჩატარდა.

***გაგაცნობთ გამარჯვებულებს და პრიზიორებს: 60 კგ:*** 1. გიორგი სოლოღაშვილი, 2. მარლენ ბერუაშვილი, 3. გიორგი ბერიძე. ***70 კგ:*** 1. გიორგი ბაინდუროვი, 2. ალექს ჩახუნაშვილი, 3. გიორგი ლელაშვილი. ***80 კგ:*** 1. მიხეილ ჩერქეზიშვილი, 2. დავით ყაიბულაშვილი, 3. რამინ იოსებაშვილი. ***+80 კგ:*** 1. ავთანდილ ზვიადაური. 2. იოსებ ქანთარია, 3. დავით ტერტერაშვილი.

წინა წლებში ფალავნები იყვნენ:
1897 წ. — ნიკოლოზ გაგნიაშვილი,
1998 წ. — მირიან პავლიაშვილი,
1999 წ. — მირიან პავლიაშივილი,
2000 წ. — ავთანდილ ზვიადაური,
2001 წ. — ავთანდილ ზვიადაური.

**ნინო ძავთარაძე**

## სპარინგ – პარტნიორადაც არ ვივარგეთ

### „მაქაბი – ბრინფორდი“ – „ავტოდორი“ 91:141



ჯერ კიდევ ამ მატჩამდე გამართულ პრესკონფერენციაზე, ჩვენი გუნდის მთავარმა მწვრთნელმა და კლუბის პრეზიდენტმა ჯამლეთ ხუხაშვილმა ჟურნალისტები გააფრთხილა, რომ მეტოქე ისეთი ძლიერია და ისეთი ამბიციური მიზნები აქვს რუსეთში თუ საევროპოდ, რომ მასთან გამკლავებაზე ფიქრი თავის მოტყუება იქნებოდა. მწვრთნელმა, ცხადია, უკეთ იცოდა თავისი გუნდის შესაძლებლობები, მაგრამ იგი კმაყოფილი და მადლობელი დარჩებოდა თუ მაქაბელები შინ იგივე თამაშს მაინც უჩვენებდნენ თავის მაყურებელს, როგორც კიევში „უკრაინაში საქართველოს საელჩოს თასზე“ ასპარეზობისას. მწვრთნელის სიფრთხილე და წინდახედულება მხოლოდ იმ ნაწილში გამართლდა, რომ თბილისელებმა „კიევის თამაში“ ვერ აჩვენეს და დამარცხებითაც გამანადგურებელი ანგარიშით დამარცხდნენ.

მეტოქე, მართლაც, რომ მრისხანე გუნდია, ყველა დარწმუნდა. სარატოველებს ნამდვილად აქვთ დიდი შანსი არა თუ კორაჩის თასი მოიპოვონ, რომლის მატჩი ახლა მათ თბილისელებთან გამართეს, არამედ უფრო სერიოზული მიზნებისთვისაც იბრძოლონ. ამის თქმის უფლებას მხოლოდ ჩვენებთან ზეშთამბეჭდავი გამარჯვება როდი გვაძლევს. ისიც შევიტყვეთ, რომ გუნდს სათავეში ცნობილი ბიზნესმენი უდგას და კლუბი არც სპონსორების დეფიციტს განიცდის. ჩვენს გუნდში კი უამრავი პრობლემაა და მისი არსებობა ზოგიერთ კერძო პირთა მოწყალებაზეა მხოლოდ დამოკიდებული.

*„მაქაბი – ბრიდფორდი“ (საქართველო):* ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერიშვილი, შალვა კრიხელი, გიორგი მჭედლიშვილი, დავით სარიშვილი, გოჩა წოწელია, მამუკა ფიცხელაური, ლაშა ბაბიაშვილი, ირაკლი კეიდია, ლადო სუხიშვილი.

*„ავტოდორი“ (რუსეთი):* ანტონ აგეევი, ბაშ შემსეტდინი, ადამე, ალექსანდრ გუტოროვი, ანდრეი ივანოვი, ეის ერლ ბოედი, ვიქტორ ხრიაპა, სე[illegible]ეი მონია, კებუ ობ სტიუარტი, ალე[illegible]ანდრ ავლიაში.

### სიახლე

## ბაკლავარიატი და მაგისტრატურა ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიაში

საქართველოს აღზრდისა და სპორტის აკადემიაში პირველად დაინერგა ამ უმაღლესი სასწავლებლის არსებობის ისტორიაში. აკადემია, ფაქტობრივად, გადავიდა ორსაფეხურიან სწავლებაზე, როგორც ეს მთელ მსოფლიოშია მიღებული.

*პირველი საფეხურია* ბაკლავარიატი, სადაც სტუდენტი იღებს ზოგადსააკადემიო საბაზო და სპეციალურ განათლებას.

*მეორე საფეხური* – მაგისტრატურა წარმოადგენს საკათედრო მომზადების ახალი სისტემის შემადგენელ ნაწილს – ბაკლავარიატსა და ასპირანტურას შორის და მიზნად ისახავს სპეციალისტთა მომზადებას მეცნიერების, განათლების, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო მართვის სფეროებისთვის. აკადემიაში სასწავლო პროცესს წარმართავენ როგორც ადგილობრივი, ისე მოწვეული სპეციალისტები, მეცნიერები. რეფორმა ხელს შეუწყობს საakადემიო დიპლომის კონკურენტუნარიანობას.

**სააგენტო „გუმათი“.**

# საქართველოს ოლიმპიური ჩემპიონები



იგონებს პირველ მასწავლებელს და მწვრთნელს შალვა ბოსტაშვილს, შემდგომ მწვრთნელებს: გოგონათა ნაკრებში არჩილ ბაქრაძეს, ქალიშვილთა ნაკრების მწვრთნელს – ნიკოლოზ მახვილაძეს, გრიგოლ მამარდაშვილს, ივანე ოგანოვს, რომლის შეგირდი უკვე მოწიფულ ასაკში გახდა. ოგანოვთან ვარჯიშობდა აგრეთვე საქართველოში გადმოსული გალინა მინაიჩევა – შარაბიძე. საბჭოთა ნაკრებში მზიას მწვრთნელები იყვნენ: იგორ ჟურავლიოვი, ალექსანდრ ალექსანდროვი, ბოლოს – ალექსანდ პოლოჟაევი. თითოეულმა მათგანმა არაერთი სახელოვანი ტანმოვარჯიშე აღზარდა.

დავუბრუნდეთ ასპარეზობებს. 1955 წელს უკვე უნგრელებთან ამხანაგური მატჩის გასამართავად ჩავიდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეთა კოჰორტა. ქალები მხოლოდ ბჯენით ხტომებში, რგოლებზე, დვირზე და თავისუფალ ვარჯიშში ასპარეზობდნენ ოლიმპიური პროგრამით. ყველა მოელოდა, რომ მზიას ბჯენით ხტომებში ბადალი არ ეყოლებოდა, მაგრამ მოხდა სასწაული – მზიამ გააკეთა გამორბენი და... ისეთი სიჩქარე აკრიბა, ტანვარჯიშულ იარაღს გვერდით ჩაუქროლა. ყველა გაოგნებული დარჩა. მთავარმა მსაჯმა არბიტრებს უხმო, ითათბირეს და... ნაცვლად „0"-ისა, მზიას, შეფასება 3,6 ქულა ჩაუწერეს ოქმში. ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა ტანვარჯიშის შეჯიბრებათა ისტორიაში. „რატომ, რისთვის?" თავადვე გაუკვირდა ჩვენს სპორტსმენს. დარბაზი გაინაბა. დიქტორმა ზეაწეული ტონით გამოაცხადა: „ჯუღელი – 3,6 ქულა" და დასძინა – „ულამაზესი გამორბენისთვის!"

ოლიმპიურ სარბიელზე გასული საბჭოთა სპორტი, 1952 წელს მისთვის პირველ თამაშებში მოპოვებული წარმატებისა და აღიარების განმტკიცებას, მეტოქეებთან, ძირითადად კი,

## მზია ჯუღელიდან – უსასრულობისაკენ

1952-1956 წლების ოლიმპიურ ოთხწლეულში, ბოლო არ უჩანდა საბჭოთა ტანმოვარჯიშეების მიწვევებს უცხოეთში. ძირითადად იმ ქვეყნებს ირჩევდა დიდ პოლიტიკაში გარეული ხელი, სადაც საჭირო იყო სოციალიზმის მშენებელი საბჭოთა ქვეყნის მაგალითი და ავტორიტეტი. უკვე ვთქვით, რომ მასპინძელ ქვეყნებს შორის ზოგიერთი ისეთიც იყო, სადაც თანამედროვე ტანვარჯიში სუსტად იყო განვითარებული. ევროპისგან განსხვავებით, აზიის ქვეყნებში საბჭოთა სპორტული დელეგაციის ვიზიტი იქ ფიზიკური კულტურისა და მასობრივი სპორტის პროპაგანდასაც ისახავდა მიზნად.

1954 წელს დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია უნგრეთში საბჭოთა ტანმოვარჯიშეების ვიზიტმა, რაც ადგილობრივი ოსტატობის გამოსვლებითაც იყო განპირობებული. მით უფრო, რომ ახლოვდებოდა მსოფლიო ჩემპიონატი. სასაზღვრო, კერძოდ, იუგოსლავიის მეზობელ ქალაქებში, ამ ქვეყნიდანაც ჩადიოდნენ გულშემატკივრები საბჭოთა და უნგრელ ტანმოვარჯიშეთა გამოსვლების სანახავად.

უნგრეთში საბჭოთა დელეგაცია ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: მზია ჯუღელი, გალინა მინაიჩევა, კლავდია ორეშკინა, სოფია პოდუზდოვა, გალინა შამრაიდა, ნინა ბოჩაროვა, ვაჟებიდან: ვალენტინ მურატოვი, ბორის სმოლენსკი, გრანტ შაგინიანი, ნიკოლაი სერი, იოსიფ ბერდიევი და ვლადიმირ ბელიაკოვი. უნგრელთაგან მზია ჯუღელი განსაკუთრებით თავის მეგობარ ოლგა ტაშს, ელენე კეზელს და ანა კარონდის იხსენებს. ასპარეზობას ცვლიდა სკოლებში, შრომით კოლექტივებში შეხვედრები. ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ ტანვარჯიშის თანამედროვე ჯადოქრებს. ამ ქვეყნის სპორტსმენებთან განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა დამყარდა. უნგრელები მოსკოვშიც ჩამოდიოდნენ. ფედერაციის პრეზიდენტი ჰელენ ჰ აბატი ძალიან ენერგიული ქალი იყო და ბევრს აკეთებდა ტანვარჯიშის სასიკეთოდ სხვადასხვა ქვეყნის სპორტსმენთა დასაახლოებლად. ჰაბატს მზიასთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. სწორედ მათი მეგობრული ურთიერთობის წყალობით, უნგრელები, მოგვიანებით, თბილისსაც ეწვივნენ. მანამდე ქართველების ცალკე დელეგაცია მიიწვიეს უნგრეთში.



ბუდაპეშტი, 1955 წ. I რიგში მარცხნიდან პირველი – გრანტ შაგინიანი; II რიგში მარჯვნიდან პირველი – მზია ჯუღელი

„ამდენს ვიგონებთ და მგონი ჩემს მწვრთნელებზე არაფერი მითქვამს" – გვეუბნება ქალბატონი მზია. კი ბატონო, დავუბრუნდეთ მწვრთნელებს, და ჩვენი ოლიმპიური ჩემპიონი სიამოვნებით კიდევ ერთხელ

აშშ-ს წარმომადგენლებთან თანაბარ პაექრობას კი არა, ოქროს მედლებით გადასწრებას გეგმავდა. საბჭოთა სპორტულ მოძრაობას ამ ამოცანამ ახალი სტიმული მისცა. დღის წესრიგში დადგა ქვეყნის შიგნით ისეთი ასპარეზობის ჩატარება, რომელიც სპორტის ალმავლობასთან ერთად, ხელს შეუწყობდა ნიჭიერთა წარმოჩენას. და აი, მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადების ჩატარების თაობაზე, რომელიც ოლიმპიადების მსგავსად გაიმართებოდა ოთხ წელიწადში ერთხელ, ოლიმპიური თამაშების წინ.

პირველი სპარტაკიადა 1956 წელს ჩატარდა მოსკოვში.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

*დასაწ. იხ. „ლელო" №40.... 78.*

*გაგრძელება იქნება*

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## ევროლიგა (II ტური)

***ეფეს (თურქეთი) — ბენეტონი (იტალია) 87:78***

***ეფესი:*** ბრაუნი (26 ქულა), ოკური (22), კამბალა (15)

***ბენეტონი:*** ჩიკალკინი (26), ტომიჩი (15)

***ალბა (გერმანია) — ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) 69:88***

***ალბა:*** პეშიჩი (23), ფელპსი (15), ალექსის (13)

***ოლიმპიაკოსი:*** ფორდი (28), პაპანიკოლაუ (10), იელიჩი (9)

***უნიკახა (ესპანეთი) — შარლერუა (ბელგია) 76:68***

***უნიკახა:*** როდრიგესი (16), მრშიჩი (13), კორნეგი (13)

***შარლერუა:*** სტასი (16), ჟერომი (12)

***ზადარი (ხორვატია) — პო ორტეზი (საფრანგეთი) 79:83***

***ზადარი:*** რუჟიჩი (18), რობინსონი (17), პოპოვიჩი (13)

***პო ორტეზი:*** სელერსი (19), ფატუ (17), ლუკოვსკი (13)

***აეკ (საბერძნეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 106:70***

***აეკ:*** კომაზეცი (22), დიკუდისი (14), ბეტსი (14)

***პარტიზანი:*** სტანოევიჩი (24), შეპანოვიჩი (13)

***სუნაირი (ბელგია) — ურალ-გრეიტი (რუსეთი) 79:84***

***სუნაირი:*** გეტროდისი (18), პრაშკიავიჩუსი (18), ბიგზი (13)

***ურალ-გრეიტი:*** მიხაილოვი (18), დაინეკო (18), კარასიოვი (16)

***სკავოლინი (იტალია) — ციბონა (ხორვატია) 88:75***

***სკავოლინი:*** ბერიჩი (23), გლეიერი (21), ბუკერი (19)

***ციბონა:*** ბოემენი (15), ფრიმენი (15), მანსი (15)

## ჭადრაკი • მსოფლიო გუნდური ჩემპიონატი

**სომხეთის ნაკრები კვლავ ლიდერობს მოჭადრაკეთა გუნდურ მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ერევანში ტარდება. მე-6 ტურში მასპინძლებმა სძლიეს კუბელებს — 3:1, რუსეთელებმა მოუგეს გერმანელებს 3,5:0,5. სვედლერმა დაამარცხა იუსუპოვი, გრიშუკმა — გრაფა, რუბლევსკიმ — ლიუტერა, ლუტც-დრეევის შეხვედრა ყაიმით დასრულდა.**

**6 ტურის შემდეგ ასეთი მდგომარეობაა: 1. სომხეთი — 15 (20 შესაძლებლიდან); 2-3. რუსეთი, უკრაინა — 14,5-14,5; 4. გერმანია — 14. ტურნირში მონაწილეობენ სომხეთის, გერმანიის, უნგრეთის, კუბის, ირანის, მაკედონიის, რუსეთის, უკრაინის და უზბეკეთის გუნდები.**




## იაროშიკი კასპაროვს ეთამაშება

ამ კვირას ჩეხეთის ქალაქ ბრუნოში მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გარი კასპაროვი ერთდროულ სეანსს ჩაატარებს. იმ ოცდაათ მეტოქეთა შორის, რომლებიც კასპაროვის წინააღმდეგ ითამაშებენ იქნება პრაღის „სპარტას" ფეხბურთელი ირჟი იაროშიკი.

ეს უფლება ფეხბურთელმა თანაგუნდელებთან პაექრობაში მოიპოვა. ორგანიზატორებმა „სპარტას" სეანსში ერთი წარმომადგენლის ადგილი გამოუყვეს.

## ექვსი ამერიკელი ათლეტი გამოიჭირეს

აშშ-ის დოპინგსაწინააღმდეგო სააგენტომ გუშინ საღამოს გაავრცელა ინფორმაციოა იმის შესახებ, რომ ბოლო სამ თვეში დოპინგკონტროლი გაიარა 880-მა ამერიკელმა სპორტსმენმა. განსაკუთრებული პრინციპულობით მოეკიდნენ მოცურავეებს, ნიჩბოსნებს და ველოსიპედისტებს. გამოვლინდ ანაბოლიკებით სარგებლობის 6 ფაქტი. სპორტსმენთა გვარებს ჯერ არ ახმაურებენ.

## ჩოგბურთში ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი ინდოეთში აღარ ჩატარდება



ჩოგბურთელ ვაჟთა წყვილებში მსოფლიო ჩემპიონატის ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ ეუწყებინათ ყველასათვის, რომ ეს ასპარეზობა, რომელიც ბანგალორში (ინდოეთი) უნდა ჩატარებულიყო, აღარ გაიმართება უსაფრთხოების მოსაზრებით. „რეგიონში შექმნილი სიტუაცია ჩემპიონატის ჩატარებას შეუძლებელს ხდის" — განაცხადა სრულიად ინდოეთის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ანელა ხანიმ.

## ნატალია ჩურკოვა — ყველაზე ლამაზი მძლეოსანი

რუსეთში ჩატარდა კონკურსი „მის მძლეოსანი", რომლის გამარჯვებულად სცნეს ვლადიმირელი მორბენალი ნატალია ჩურკოვა — სიდნეიში ოლიმპიური თამაშების მონაწილე და რუსეთის თასის მფლობელი 400 მეტრზე რბენაში.

## ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი მოტოციკლიდან ჩამოვარდა

ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი 1500 მეტრზე ცურვაში ავსტრალიელი კირენ პერკინსი მოტოციკლიდან ჩამოვარდა და კისერი დაიზიანა. ეს ამბავი მოხდა სიდნეიში ერთ-ერთ სტადიონზე, სადაც მოტორბოლაში მსოფლიო ჩემპიონი უენ გარდნერი ოლიმპიურ ჩემპიონს მოტოციკლის ტარებას ასწავლიდა. შემთხვევის დროს მოტოციკლი 100 კმ სიჩქარით მიქროდა. კირენ პერკინსი უმალვე გადაიყვანეს საავადმყოფოში.




## გაზეთის დაბეჭდვის წინ:




გუშინ, შტუტგარტში მიმდინარე საჩოგბურთო ტურნირში გამოვლინდა ერთი ნახევარფინალისტი — რუსი ევგენი კაფელნიკოვი, რომელმაც ორ სეტში 6:3, 6:4 დაამარცხა ჩეხი იური ნოვაკი.

## ფეხბურთი

UEFA CUP

| | |
|---|---|
| ცსკა (უკრაინა) – ბრიუგე | 0-2 |
| უნიონი – ლოვეჩი | 0-2 |
| ოსიეკი – აეკი | 1-2 |
| კოპენჰაგენი – აიაქსი | 0-0 |
| ლეგია – ვალენსია | 1-1 |
| ბორდო – სტანდარდი | 2-0 |
| გრასჰოპერი – ტვენტე | 4-1 |
| პაოკი – პრეიბრამი | 6-1 |
| ჰალმსტადი – სპორტინგი | 0-1 |
| ჰაპოელი – ჩელსი | 2-0 |
| ფრაიბურგი – სტ. გალენი | 0-1 |
| ფიორენტინა – ტიროლი | 2-0 |
| უტრეხტი – პარმა | 1-3 |
| ვარტექსი – ბრონდბიუ | 3-1 |
| მილანი – ცსკა (ბულგარეთი) | 2-0 |
| პსჟ – რაპიდი | 4-0 |
| სარაგოსა – სერვეტი | 0-0 |
| ლიდსი – ტრუა | 4-2 |
| ინტერი – ვისლა | 2-0 |
| რეინჯერსი – დინამო (მოსკ) | 3-1 |
| იფსვიჩი – ჰელსინგბორგი | 0-0 |



## საქართველოს XIII ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

# ამონაწერი ოქმიდან

### უმაღლესი ლიგა. XI ტური

**ვიტ ჯორჯია — სიონი 1-0**

*ვიტ ჯორჯია:* მამარდაშვილი, კობიაშვილი, ინწკირველი, მუჯირი, არეშიძე (ფეიქრიშვილი 80), თედორაძე, ნოზაძე, გოგობერიშვილი, ადამია (ცქიფურიშვილი 88), გოჩაშვილი (ზ. მეტრეველი 76), წუწუნავა.

*სიონი:* ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, სვანიძე (გლუნჩაძე 81), სიდამონიძე, პაპიძე, ბარნოვი, ამბიძე, მოსეშვილი (ბარქაია 74), ისიანი, მინაშვილი, ბ. შენგელია (დაუშვილი 46).

*გოლი:* 1-0 გოგობერიშვილი (18)

*გააფრთხილეს:* მინაშვილი

*გააძევეს:* წუწუნავა, გოდერძიშვილი

*მსაჯი:* მ. მალაღურაძე (თბილისი)

**სამგურალი — ტორპედო 1-4**

*სამგურალი:* ბოდოკია, ლ. ქობულაძე (ჯინჭარაძე 78), ფრანგიშვილი, ჭელიძე, ბერაძე, კოპალიანი, კ. ჯანაშია, შ. ღონღაძე (ჯიქია 46), დარსაძე, ხუნდაძე, ვაჩიბერიძე (გ. ა. მიქაძე 46).

*ტორპედო:* სტურუა, მახვილაძე, ხვადაგიანი (ახალკაცი 46), აბრამიძე, დიდავა, ლევან სილაგაძე, თოდუა, იონანიძე, ასათიანი, პოროშინი (გ. შენგელია 58), ქუთათელაძე (ბაბუნაშვილი (46).

*გოლები:* 0-1 დიდავა (13), 0-2 პოროშინი (31). 0-3 ქუთათელაძე (79), 1-3 ხუნდაძე (75), 1-4 იონანიძე (77)

*მსაჯი:* კ.მესხი (ზუგდიდი)

**მეტალურგი — გორდა 2-1**

*მეტალურგი:* მერკვილიშვილი, ორმოცაძე, ლონლაძე (გოგაძე 84), შეყრილაძე, მალლაკელიძე, გეწაძე (ყუფარაძე 88), მემარნიშვილი, სუხიაშვილი, გურეშიძე, ფირცხალაიშვილი, ხმალაძე (მერებაშვილი 82).

*გორდა:* კოროშინაძე, კედელაშვილი, ბურნაძე, ლურსმანაშვილი, ლაშა სილაგაძე, ლ. კაპანაძე (ზვ. ლაბაძე 46). მელაძე, პეტრიაშვილი (მიშველაძე 36), ზურაბ ლაბაძე (ი. ჯუღელი 67). ჯელაძე, გოცირიძე.

*გოლები:* 1-0, 2-0 გეწაძე (32, 44), 2-1 ჯუღელი (პენ. 89).

*გააფრთხილეს:* სუხიაშვილი, გეწაძე, გურეშიძე.

*მსაჯი:* ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა).

**მერანი — კოლხეთი 1-2**

*მერანი:* დევაძე, გოგიტაძე, გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, ბაჯელიძე, მუხინი (ივეჩიანი 87), ი. შენგელია (კოშკაძე 64), ჭინჭარაული, გაგუა, დავითაშვილი.

*კოლხეთი:* მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, ქობულაძე, ქუტიძე, ე. გვასალია, ფანჩულიძე (აკობია 46), კვირკველია, კვეტენაძე (მუმლაძე 46), კრასოვსკი (მიქელთაძე 76), წივწივაძე.

*გოლები:* 1-0 მუმლაძე (51), 1-1 გაგუა (63), 1-2 მუმლაძე (84)

*გააფრთხილეს:* ქუტიძე, ცქიფურიშვილი, გოროზია, კოშკაძე, გოგიტაძე.

*მსაჯი:* მეშკოვი (თბილისი)

**დინამო (ბთ) — ლოკომოტივი** (გადაიდო, და 24 ოქტომბერს გაიმართება).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 11 | 10 | 1 | 0 | 30-5 | 31 |
| ლოკომოტ, | 10 | 8 | 0 | 2 | 21-6 | 24 |
| მერანი | 11 | 6 | 1 | 4 | 18-17 | 19 |
| დინამო (ბთ) | 10 | 5 | 3 | 2 | 13-6 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 11 | 5 | 3 | 3 | 18-12 | 18 |
| დინამო (თბ) | 11 | 5 | 2 | 4 | 23-11 | 17 |
| კოლხ.1913 | 11 | 5 | 2 | 4 | 20-19 | 17 |
| სიონი | 11 | 3 | 2 | 6 | 7-18 | 11 |
| გურია | 11 | 1 | 5 | 5 | 7-16 | 8 |
| სამგურალი | 11 | 2 | 1 | 8 | 8-23 | 7 |
| მეტალურგი | 11 | 1 | 3 | 7 | 5-23 | 6 |
| გორდა | 11 | 1 | 3 | 7 | 9-23 | 6 |



დინამო (თბილისი) — გურია

ელდარ მალხაზიშვილის ფოტო

## საქართველოს თასი



დინამო2 (თბ) — **დილა (გორი)** 0-0 (0-1)

ლოკომოტივი 3 (თბ) — **სიონი (ბოლნისი)** 0-1 (0-0)

ცხინვალი — **გორდა (რუსთავი)** 0-2 (1-4)

მერანი 2 (თბ) — **მილანი (წნორი)** 0-2 (2-4)

მაუდი (თბ) — **თსუ (თბ)** 1-3 (0-7)

ლაზიკა (ზუგდიდი) — **კოლხეთი (ფოთი)** 0-5 (0-6)

სულორი (ვანი) — **დინამო (ბთ)** 0-1 (0-8)

კოლხეთი2 (ფოთი) — **გურია (ლანჩხუთი)** 1-2 (1-6)

კოლხეთი (ხობი) — **სამგურალი (წყალტუბო)** 3-2 (0-1)

ლოკომოტივი (სამტრედია) — **მეტალურგი (ზესტაფონი)** 0-2 (1-1)

თორი (ბორჯომი) — **ქობულეთი** 0-2 (0-1)

ზოოვეტი (თბ) — **მერანი (თბ)** 2-1 (0-4)

### 1/8 ფინალი. წილისყრა

მერანი — ტორპედო
კოლხეთი 1913 — დინამო (ბთ)
დინამო (თბ) — სიონი
სამგურალი — ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი — დილა
გურია — მილანი
გორდა — ქობულეთი
თსუ — მეტალურგი

***მატჩები გაიმართება 31 ოქტომბერს და 13 ნოემბერს. პირველი მატჩები ჩატარდება 15.00 საათზე.***

## 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

**17 ოქტომბერი. „ლოკომოტივის“ სტადიონი**

**ისრაელი — ბოსნია-ჰერცოგოვინა 0-0**

17
UEFA
UNDER-17
Championship

**ისრაელი:** გაპაბა, გოლოვი, მააბი, კოენი, ჰანუკა, ვერმოუტი, ბარუჩიანი (პერეცი 41), ვტური, ტორონტოვი, კადოში (მალამი 60), ტაგა (ვერადი 74).

**ბოსნია:** ბაოტიჩი, კოვაჩიჩი, რეჯოვიჩი, ჩოლპა, დერვიჩი, ჯაკმიჩი (კეჩო 55), ჰალილოვიჩი, დერვიში, იოვანოვიჩი (ლიელიაკი 62), შაჰინი, მანდარიჩი (შვრაკა 73)

*გააფრთხილეს:* გოლოვი; ჯაკმიჩი, დერვიში.

*მსაჯი:* ს. გუსევი (რუსეთი)

# დღეს გავარკვიოთ

ვერ მოუგო ისრაელმა ბოსნიას, თუმცა ბევრს ეცადნენ ებრაელები, თუნდაც ერთი გოლი მაინც გაეტანათ, ამის შესაძლებლობებიც ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. ბოსნიამ ამჯერადაც ვერ ივარგა, ფრეს კი მიაღწია, რაც ჩვენს წისქვილზე ასხამს წყალს. მაგრამ დამტკიცდა, რომ იგი ჯგუფის უსუსტესი გუნდია. სპეციალისტთა ვარაუდი გამართლდა, - გაისად დანიაში გასაგზავნი ნაკრების ვინაობა, შესარჩევი ტურნირის ბოლო მატჩში გაცხადდებაო, რომ ამბობდნენ. ფაქტი კი ერთია და ჩვენთვის სასიამოვნო, ისრაელი პირველ მატჩში მხოლოდ ქულით დაკმაყოფილდა და ფინალურ ეტაპზე მასპინძლების გასვლის შანსს ერთიორად გაიზარდა. სხვა საკითხია ამ შანს როგორ გამოვიყენებთ. ისრაელის ნაკრები შეიძლება ბოსნიაზე ბევრად ძლიერი არ არის, მაგრამ უკეთ განსწავლული რომაა და უკეთესი ფეხბურთელები რომ ჰყავს, ნაღდია.

მოკლედ, დღეს გადამწყვეტი მატჩია. არ წავაგებთ, ფინალში ვიქნებით, თუ მოვიგეთ, მით უფრო ღირსნი ვყოფილვართ ფინალურ ეტაპზე თამაშისა. ქართველი ჭაბუკები ებრაელ თანატოლებს შეერკინებიან და საუკეთესო გუნდიც გვეცოდინება.

ბოლო ტურის წინ ჯგუფში ასეთი ვითარებაა:

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| საქართველო | 1 | 1 | 0 | 0 | 2-0 | 3 |
| ისრაელი | 1 | 0 | 1 | 0 | 0-0 | 1 |
| ბოსნია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-2 | 1 |

# ყველაფერი პირიქით

## XII ტურის ანონსი

ხვალ, ერთკვირიანი შესვენების შემდეგ, განახლდება უმაღლესი ლიგის მატჩები. დაიწყება პირველი ეტაპის მეორე წრე. შეიცვლებიან სტუმარმასპინძლები და მხოლოდ გაისად გაირკვევა საბოლოოდ ის ექვსეულები, რომელთა პირველი ნაწილი ჩემპიონობისთვის და საპრიზო ადგილებისთვის იბრძოლებს, მეორე — ლიგაში დარჩენისთვის. მანამდე კი დაძაბული ორთაბრძოლებია მოსალოდნელი. ტური დაიწყება ორი მატჩით. ავჭალაში „მერანი“ გურულებს უმასპინძლებს, თბილისის „დინამო“ ბოლნისს ეწვევა. ცენტრალური მატჩი კი ვაკეში გაიმართება — ლიდერები შეერკინებიან ერთმანეთს, „ლოკომოტივი“ „ტორპედოს“ მიიღებს. თუ ქუთაისელებმა იმარჯვეს, ისინი პირველ ადგილს, ალბათ, საბოლოოდ შეინარჩუნებენ, თუ არა, პირველობისთვის ბრძოლა უფრო გამძაფრდება. მით უფრო, როცა რკინიგზელებს ერთი მატჩი ჩასატარებელი აქვთ ბათუმში „დინამოსთან“. სხვა შეხვედრებმაც შეიძლება გარკვეული ცვლილებები შეიტანოს სატურნირო ცხრილში, თუმცა, გამოკვეთილ ლიდერთა მატჩი, რა თქმა უნდა, ტურში უმთავრესია, მეტოქეებს ერთმანეთთან ძველი ანგარიშები აქვთ გასასწორებელი და თამაშიც საინტერესო უნდა გამოდგეს. მეორე წრის პირველ ტურში ერთმანეთს შეხვდებიან:

***20 ოქტომბერი***

მერანი— გურია
სიონი — დინამო (თბ)

***21 ოქტომბერი***

ლოკომოტივი — ტორპედო
სამგურალი — კოლხეთი 1913
ვიტჯორჯია — გორდა
მეტალურგი — დინამო (ბთ)

*შენიშვნა: XI ტურის გადატანილი მატჩი დინამო (ბთ) — ლოკომოტივი 24 ოქტომბერს შედგება.*

## ბომბარდირები

**აშვეთია (ტორპედო) — 8**
**ბობოხიძე (დინამო თბ) — 8**
**წივწივაძე (კოლხეთი 1913) — 6**
**გოგობერიშვილი (ვიტ ჯორჯია) — 6,**
**პოროშინი (ტორპედო) — 6**
**დათვაძე (ლოკომოტივი) — 6**

# ჩემპიონობა და თასი — «მერცხალს»

დამთავრდა ზუგდიდის 2001-წლის ჩემპიონატის და თასის გათამაშება. ჩემპიონატში პირველი ადგილი და ზუგდიდის ფედერაციის თასი მოიპოვა ზუგდიდის რაიონის ცაიშის „მერცხალის“ ფეხბურთელთა გუნდმა, ჩემპიონატში მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ზუგდიდის რაიონის სოფ. კახათის „ვალენსიამ“ და სოფ ორსანტიის „ენგურმა“. ჩემპიონატში საპრიზო ადგილებზე გასული გუნდები, მათი მწვრთნელები და მოთამაშეები დაჯილდოვდნენ ზუგდიდის ფეხბურთის ფედერაციის დიპლომებით.

ზუგდიდის 2001 წლის თასის გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ცაიშის „მერცხალი“ და ორსანტიის „ენგური“, 4-2 გაიმარჯვა „მერცხალმა“ და მოიპოვა თასი.

სუპერთასზე ერთმანეთს შეხვდნენ ზუგდიდის 2001 წლის ჩემპიონი და თასის მფლობელი ცაიშის „მერცხალი“ და თასის გათამაშების ფინალისტი ორსანტიის „ენგური“. 3-2 გაიმარჯვა „ენგურმა“, რომელსაც გადაეცა სუპერთასი.

**ბელა ნაჭყებია,**
**გაზეთ „ლელოს“ კორესპოდენტი სამეგრელოს რეგიონში.**

# ღვაწლმოსილის დაფასება

ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე, რომელსაც სულ ახლახან, წარსულში ზუგდიდელ გულშემატკივართა საყვარელი და გამორჩეული ფეხბურთელის გულია თუთბერიძის სახელი ეწოდა, საზეიმოდ გაიხსნა გულია თუთბერიძის მემორიალური დაფა, რომელსაც მრავალი გულშემატკივარი და რაიონის ხელმძღვანელობა დაესწრო.

შეკრება გახსნა გ. თუთბერიძის სახელობის ცენტრალური სტადიონის დირექტორმა კარლო ვეკუამ, სიტყვით გამოსულებმა სამეგრელოს რეგიონის ფეხბურთის ფედერაციის სახელით ჯემალ გოგიამ და მეგობრების სახელით დურუ აბლოთიამ, ილაპარაკეს გულია თუთბერიძის ღვაწლზე და მადლობით მოიხსენიეს ამ საქმის თაოსანი ცენტრალური სტადიონის დირექტორი კარლო ვეკუა, ზუგდიდის რაიონის გამგებელი ლერი ჭითანავა, რომელმაც მხარი დაუჭირა აღნიშნულ ინიციატივას და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება. მანვე გახსნა მემორიალური დაფა და აღუთქვა ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს, რომ მომავალშიც ყოველმხრივ შეუწყობს ხელს რაიონში ფეხბურთის შემდგომ განვითარებას.

**ბელა ნაჭყებია,**
გაზეთ „ლელოს“ კორესპონდენტი სამეგრელოს რეგიონში

# მსოფლიო ფეხბურთის ახალი ამბები




## პელემ აღიარა, რომ ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია

მსოფლიო ფეხბურთის ლეგენდამ, ბრაზილიელმა პელემ მექსიკაში დაადასტურა, რომ ის მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელია. „გულწრფელად უნდა ვაღიარო, მე ვარ საუკეთესო" — თქვა პელემ პრესკონფერენციაზე მექსიკის ქალაქ პაჩუკში. ამ ქალაქში ის ჩავიდა ერთ-ერთი საფეხბურთო კლუბის 100 წლისთავთან და უნიკალური საფეხბურთო უნივერსიტეტის მშენებლობასთან დაკავშირებით. გაეცნო რა პროექტს, აღფრთოვანებულმა პელემ თქვა: „არსად და არასდროს ცხოვრებაში მსგავსი რამ არ მინახავს. ეს ფანტასტიკურია!"

ბრაზილიაში ფეხბურთის კრიზისის თაობაზე პელემ თქვა, რომ სამწუხაროდ, ეს რეალობაა და ყველაფერი ხელმძღვანელთა უხეირო მუშაობას დააბრალა.

## ბელარუსის ფეხბურთის ფედერაცია არ იწონებს მალოფეევის გადადგომას

**„ის მოიქცა, როგორც წესიერი კაცი და თავისი საქმის პრინციპული სპეციალისტი, ჩათვალა რა, რომ ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობა, ვერ გაიყვანა გუნდი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში" — უთხრა კორესპონდენტებს ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა გრიგორი ფედოროვმა, გადადგომის თაობაზე ბელარუსის ნაკრები გუნდის უფროსი მწვრთნელის ედუარდ მალოფეევის განცხადებასთან დაკავშირებით.**

**ამასთან, ფეოდოროვმა აღნიშნა, რომ საკითხს მალოფეევის გადადგომის თაობაზე, განიხილავს ფედერაციის აღმასკომი. „თუმცა ნაკრები მესამე ადგილზე გავიდა და ჩემპიონატის ფინალური ეტაპის მიღმა დარჩა, თამაშში პროგრესი საგრძნობია, ახლა მთავარია, სწორი დასკვნების გამოტანა და ევროპის ჩემპიონატის ციკლისთვის პროგრამის შემუშავება — აღნიშნა ფედერაციის ხელმძღვანელმა.**

## ბი-ბი-სიმ ფეხბურთში 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ტელეტრანსლაციის უფლება შეიძინა

ბრიტანელ ფეხბურთის მოყვარულებს შესაძლებლობა ექნებათ, 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ექტაპის მატჩები იხილონ ქვეყნის ცენტრალური ტელევიზიით. ასეთი საჩუქარი ფეხბურთის გულშემატკივრებს, რომლებმაც უარი განაცხადეს გაემგზავრონ კორეა — იაპონიაში, მოუმზადა ბი-ბი-სიმ და გტვ-მ.

„ჩვენ შეგვიძლია ტელემაყურებლებს შევთავაზოთ საუკეთესო ადგილები მათსავე ტელევიზორებთან, რათა ისინი დატკბნენ საუკეთესო ფეხბურთით" — თქვა ბი-ბი-სის სპორტულ გადაცემათა დირექტორმა პიტერ სელმონმა.

ფინანსური გარიგება ბრიტანულ ტელეკომპანიასა და გერმანულ „კირხს" შორის, რომელსაც ჩემპიონატის ტელეტრანსლაციის უფლება აქვს შესყიდული, გასაიდუმლოებულია. გაჟონა ინფორმაციამ, რომ „კირხი" 245 მილიონ დოლარს ითხოვდა ინგლისელებისგან სრული (64 მატჩი) პაკეტისათვის.

## „მალიორკას" ახალი მწვრთნელი ჰყავს — სერჯიო კრეშიჩი

**„მალიორკამ" დაასახელა თავისი ახალი მწვრთნელი — „ლასპალმის" ყოფილი თავკაცი სერჟიო კრეშიჩი. ოფიციალურად ამ დანიშვნის თაობაზე წუხელ გამოცხადდა. კლუბის პრეზიდენტმა მიეო ალემანიმ პრესას აუწყა, რომ წუხელ ხელი მოაწერა კონტრაქტს კრეშიჩთან.**

**ჩემპიონთა ლიგის გუშინწინდელ მატჩში „შალკე — 04"-თან დამარცხების შემდეგ, გუნდიდან გაუშვეს „მალიორკას" გერმანელი მწვრთნელი ბერნდ კრაუსი.**

## ხავიერ კლემენტე ტუნისში?

ტუნისის ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ქვეყნის ნაკრებს ესპანელი სპეციალისტი ხავიერ კლემენტე ჩაუდგება სათავეში. სწორედ ის უხელმძღვანელებს ტუნისელებს მსოფლიო ჩემპრიონატზე გაისად. მაგრამ ეს ჯერ ერთი, მხარის სურვილია. თავად კლემენტემ საბოლოო გადაწყვეტილება ამ თვის ბოლომდე უნდა მიიღოს. იანვარში იწყება აფრიკის ეროვნებათა თასის გათამაშება, რომელიც კარგი გამოცდა იქნება მსოფლიოს ჩემპიონატის წინ.

ტუნისელი ფეხბურთის სპეციალისტები აღფრთოვანებულები არ შეხვდრიან ცნობას კლემენტეს მიწვევის შესახებ. უკმაყოფილება იმდენად დიდი იყო, რომ ფედერაცია იძულებული გახდა ნაკრების მეორე მწვრთნელად თანამემამულე დაენიშნა.

## ჯანლუკა პალიუკას მეორედ დაბადება

„ბოლონიას" 34 წლის გოლკიპერის ჯანლუკა პალიუკას სადღეისოდ იტალიის ჩემპიონატში გაშვებული აქვს ყველაზე ნაკლები ბურთი. ის საიმედო დასაყრდენია გუნდისთვის, რომელიც იტალიის ჩემპიონატში ახლა მესამე საფეხურზეა.

მიუხედავად ასაკისა, პალიუკა, როგორც ფეხბურთელი, მეორედ დაიბადა, თუმცა, მისი თქმით, მას თავი „მოხუცად" არასდროს უგრძვნია.

„ყოველთვის ვოცნებობდი მეთამაშა „ბოლონიაში", ჩემს მშობლიურ ქალაქში. შემეძლო დავთანხმებოდი მრავალ შემოთავაზებას ცნობილი კლუბებიდან, მაგრამ რომ არ ავყევი ცდუნებას, ბედნიერი ვარ. არ ვნანობ არჩევანზე. ჩემი მიზანი ახლა ისაა, „ბოლონიაში", სერია „ა"-ში მე-500 მატჩამდე მივაღწიო. ჯერჯერობით ნათამაშები მაქვს 435. ორი წელიწადიც და მორჩა, მიზანი მიღწეული იქნება" — ამბობს პალიუკა.

კითხვაზე, თუ რას გააკეთებს, როცა ფეხბურთს გამოეთხოვება, პალიუკა პასუხობს: „კონკრეტულად ვერაფერს გეტყვით, თავს ჩინებულად ვგრძნობ და კიდევ დავრჩები რამდენიმე წელიწადს ფეხბურთში. ხშირად მეკითხებიან, ვითამაშებ თუ არა უცხოეთში. რატომაც არა? ეს იქნებოდა კარიერის შესანიშნავი დასასრული".

2002 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინალისკენ მიმავალი გზა პალიუკასათვის გადაკეტილია. უკვე ცნობილია ნაკრების ორი მეკარე — ტოლდო და ბუფონი, იტალიელთა თავკაცს ჯოვანი ტრაპატონის ასარჩევი დარჩა, მესამე, თუ ვინ, ჯერ უცნობია. თავად პალიუკა მიიჩნევს, რომ ალბათ ეს იქნება აბაიატი.



ჯანლუკა პალიუკა

## დაითხოვეს „მიუნხენ 1860"-ის მწვრთნელი

**გერმანიის „მიუნხენ 1860"-ის მთავარი მწვრთნელი ვერნერ ლორანი თანამდებობიდან გადააყენეს. ასეთ ნაბიჯს უკავშირებენ იმ მარცხს, რომელიც მიუნხენელებმა იწვნიეს პრინციპულ მეტოქე — თანამემამულეებთან მიუნხენის „ბავარიასთან" 1-5. ახალი მწვრთნელის შერჩევამდე შემცვლელის ფუნქცია დაეკისრა ლორანის თანაშემწეს პიტერ პაკულტს, რომელიც ადრე „მიუნხენში" თამაშობდა.**

## გერმანული პრესა „სპარტაკს" დასცინის...

„საღამოს სასიამოვნო გასეირნება" უწოდა თავის გუშინდელ ნომერში გერმანულმა გაზეთმა „ბერლინერ ცაიტუნგმა" „ბავარიის" გამარჯვებას მოსკოვის „სპარტაკთან" ჩემპიონთა ლიგის მატჩში. ასეთი შედარების საბაბი გახდა არა მხოლოდ ის, რომ მატჩი გვიან საღამოს ჩატარდა მიუნხენის სტადიონზე, არამედ ისიც, რომ მასპინძლები ჭეშმარიტად ლამაზად, ლაღად თამაშობდნენ და როგორც „ბილდი" წერს: „სპარტაკელები, უბრალოდ, კედელთან მიაყენეს".

პრესა ხაზგასმით იმასაც აღნიშნავს, რომ რუსეთის ჩემპიონს ასე სუსტად არასდროს უთამაშია გერმანიის ჩემპიონთან. როგორც „ბერლინერ ცაიტუნგი" აღნიშნავს, სპარტაკელთა შანსი, გავიდნენ შემდეგ წრეში, პრაქტიკულად ნულს უტოლდება. ბავარიელებს კი, პირიქით, შესანიშნავი შესაძლებლობა მიეცათ ჯგუფში იმედიანად გაიმაგრონ პოზიცია ლიდერის, ჩეხეთის „სპარტას" შემდეგ. „ახლა „ბავარია" იმ გუნდად მოჩანს, რომელსაც თამამად შეუძლია იბრძოლოს ჯგუფში პირველი „ადგილისათვის" — წერს „ბერლინერ მორგენპოსტი". გერმანული პრესა განსაკუთრებით იწონებს „სამხრეთამერიკელთა ტანდემის" ბრაზილიელ ჯოვანე ელბერისა და პერუელ კლაუდიო პისაროს თამაშს. „სპარტაკთან" მატჩში მათ ორ-ორი გოლი გაიტანეს.

## ირვინი იცავს ბარტეზს



**„მანჩესტერ იუნაიტედის" მცველი ლენის ირვინი აცხადებს, რომ პარტნიორები ფაბიან ბარტეზისგან არ ქმნიან „განტევების ვაცს". საფრანგეთის ნაკრების გოლკიპერი მთავარი დამნაშავე იყო ჩემპიონთა ლიგის მატჩში „დეპორტივოსთან". „ფაბიენი ხშირად მართლაც რისკიანად თამაშობს, რაც ძვირად გვიჯდება, მაგრამ ნურც იმას დავივიწყებთ, რამდენჯერ იხსნა გუნდი. შეცდომები ყველას თანამდევია" — ამბობს ირვინი.**

## ჩეჩნეთში ფეხბურთი დაბრუნდა

**გუდერმესის სტადიონზე, გუშინ, პირველად, რამდენიმე წლის შემდეგ, განახლდა საფეხბურთო მატჩები. მინდორზე სათამაშოდ გავიდნენ როგორც ადგილობრივი, ისე სამხედრო, მილიციისა და უშიშროების ფეხბურთელები. ტურნირის დამთავრების შემდეგ, როგორც იუწყებიან, სუფრა გაიშლება და პრიზებსაც ჩამოარიგებენ. პრიზებს შორის კი იქნება ისტორიული წიგნი ჩეჩნებზე და ჩეჩნეთზე, რომელიც გამოცემულია საზოგადოებრივ ფონდ „ნიზამის" მიერ.**

**ტურნირი ტარდება დევიზით: „იარაღი არ უნდა კლავდეს, ის უნდა იცავდეს!"**

## თქვენთვის, ერუდიტებო!

***1. რომელ წელს გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირში პირველად საუკეთესო ფეხბურთელთა სია?***

ა) 1937 წელს
ბ) 1938 წელს
გ) 1939 წელს

***2. ვინ გაიტანა ყველაზე მეტი გოლი საბჭოთა კავშირის 1938 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში?***

ა) გრიგოლ გაგუამ
ბ) მიხეილ ბერძენიშვილმა
გ) ბორის პაიჭაძემ

***3. რომელ წელს დაწესდა საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატებში ოქროს, ვერცხლის და ბრინჯაოს მედლები?***

ა) 1947 წელს
ბ) 1948 წელს
გ) 1949 წელს

***4. ვინ იყო პირველი ქართველი ფეხბურთელი, რომელსაც 1941 წელს სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა?***

ა) ბორის პაიჭაძე
ბ) შოთა შავგულიძე
გ) არჩილ კიკნაძე

***5. სად გაიტანა თბილისის „დინამომ" ყველაზე მეტი გოლი 1945 წელს უცხოეთში?***

ა) ბუქარესტში
ბ) თეირანში
გ) ბუდაპეშტში.

მსოფლიო ფეხბურთის ახალი ამბები

# ჩემპიონთა ლიგა — პირველი ჯგუფური ტურნირი (IV ტური)

დასრულდა ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ტურნირის მეოთხე ტური, რომელმაც გამოავლინა ორი გუნდი (*მადრიდის „რეალი“* და *პრაღის „სპარტა“*), რომლებმაც უკვე მოიპოვეს მეორე ჯგუფურ ტურნირში მონაწილეობის უფლება.

A **ჯგუფში**, გასვლით შეხვედრაში, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მადრიდის „რეალმა“, რაულისა და მაკმანამანის გოლების წყალობით. ასევე სტუმრად გამარჯვება მოიპოვა „რომამ“, მაგრამ „რეალისგან“ განსხვავებით, მას გაუჭირდა მოსკოვში მოგება და თუ არა ჩერევჩენკოს რიკოშეტი, ეს შეხვედრა ფრედ დამთავრდებოდა. ამ მოგებით „რომამ“ თითქმის გაინაღდა მეორე ჯგუფურ ეტაპზე თამაში.

B **ჯგუფში** ყოველგვარი იმედი დაკარგა კიევის „დინამომ“, ხოლო დორტმუნდის „ბორუსიამ“ პირველი გამარჯვება მოიპოვა და შანსი გაუჩნდა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

C **ჯგუფში** პირველი გამარჯვება მოიპოვა „შალკე 04“-მა, ხოლო ესპანეთის „მალიორკამ“, რომელიც უსახურად თამაშობს ესპანეთის ჩემპიონატში, ამ წაგების შემდეგ თანამდებობიდან გაანთავისუფლა ბერნდ კრაუსი.

D **ჯგუფში** როგორც იქნა პირველი გამარჯვება მოიპოვა რომის „ლაციომ“. მიუხედავად დამარცხებისა, ამ შეხვედრაში კარგი შთაბეჭდილება დატოვეს „პსვ“-ს ფეხბურთელებმა — ამ ჯგუფში ყველაფერი ჯერ წინაა.

E **ჯგუფში** ორ საგზურზე პრეტენზიას 3 გუნდი აცხადებს.

F **ჯგუფში** პირველი დამარცხება განიცადა ლევერკუზენის „ბაიერმა“, აქაც ისევე როგორც E ჯგუფში, შემდეგ ეტაპზე გასასვლელად პრეტენზიას 3 გუნდი აცხადებს.

G **ჯგუფში** მოულოდნელი დამარცხება განიცადა „მანჩესტერმა“. ამ შეხვედრაში უხეიროდ ითამაშა „მანჩესტერისა“ და საფრანგეთის ნაკრების მეკარემ ბარტეზმა. საბერძნეთის „ოლიმპიაკოსმა“ პირველი გამარჯვება და მცირეოდენი შანსი მოიპოვა შემდეგ ეტაპზე გასასვლელად.

H **ჯგუფში** ყველაფერი გარკვეულია. პრაღის „სპარტა“ უკვე მეორე ჯგუფურ ეტაპზეა. ასევე მიუნხენის „ბაიერნსაც“ ხელს არაფერი შეუშლის იქ მოხვედრაში. აღსანიშნავია აგრეთვე ის ფაქტი, რომ პრაღის „სპარტას“ უკვე 4 თამაშია (360 წთ) ბურთი არ გაუშვია.

## A ჯგუფი

**ლოკომოტივი – რომა 0-1**

***ლოკომოტივი:*** ნიგმატულინი, იგნაშევიჩი, ჩერევჩენკო, ლეკხეტო, ჩუგაინოვი, მამინოვი, ობრადოვიჩი, პიმენოვი, იზმაილოვი, ლოსკოვი, ობიორა.
***რომა:*** ანტონიოლი, სამუელი, ზაგო, ძებინა, კაფუ (ფუზერი 89), ლიმა, გიგუ, ტომაზი (ასუნსაო 83), ემერსონი, ტოტი, ბატისტუტა.
*გოლი:* კაფუ (78).

**ანდერლეხტი – რეალი 0-2**

***ანდერლეხტი:*** დე ვილდე, კრასონი, ილიჩი, ტრაორე, ჰენრიკსი, ვანდერჰაგე, ჰასი, ბასეჯიო (საიდი 46), იაშუკი (ტომპსონი 79), არუნა, მორნარი.
***რეალი:*** სეზარი, რობერტო კარლოსი, ჰავონი, იერო (რუბენი 60), მიჩელ სალგადო, სელადესი, მაკელელე, მაკმანამანი (სავიო 70), გუტი (მორიენტესი 77), რაული, ფიგუ.
*გოლები:* რაული (19), მაკმანამანი (35).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| **რეალი** | 4 | 4 | 0 | 0 | 12-2 | 12 |
| **რომა** | 4 | 2 | 1 | 1 | 4-3 | 7 |
| **ანდერლეხტი** | 4 | 0 | 2 | 2 | 2-7 | 2 |
| **ლოკომოტ.** | 4 | 0 | 1 | 3 | 2-8 | 1 |


ლაციო — პსვ

## B ჯგუფი

**ბორუსია – ბოავიშტა 2-1**

***ბორუსია:*** ლემანი, ვიორნსი, ევანილსონი, სტევიჩი, როიტერი, იან კოლერი, როსიცკი (იურგენ კოლერი 90), დედე, რიკენი (მადუნი 90), მეტცელდერი, სორენსენი (ოლისე 76).
***ბოავიშტა:*** რიკარდო, რუი, ოსკარი, ტურა, ემანუელი, ერივანი, დუდა, მარსიო (მარტელინიო 59), ფრეშო, ბოსინგვა (პეტი 48), გულარტი (სილვა 70), სანჩესი.
*გოლები:* 0-1 გულარტი (33), 1-1 რიკენი (50), 2-1 კოლერი (68).

**დინამო (კიევი) – ლივერპული 1-2**

***დინამო:*** რევა, გავრანჩიჩი, ვაშჩუკი, გოლოვკო, მელაშენკო (იდახორი 79), გიოანე, ხაცკევიჩი, ბელკევიჩი, ჩერნატი, ბოდნარი (გუსინი 56), ნესმაჩნი.
***ლივერპული:*** დუდეკი, კარაგერი, ანშო, ჰიუპია, რიისე, მაკალისტერი, მერფი, ჯერარდი, ბარმბი (ბერგერი 62), შმიცერი (რედნაპი 79), ჰესკი.
*გოლები:* 0-1 მერფი (43), 1-1 გიოანე (59), 1-2 ჯერარდი (67)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ლივერპული** | 4 | 2 | 2 | 0 | 4-2 | 8 |
| **ბოავიშტა** | 4 | 2 | 1 | 1 | 7-5 | 7 |
| **ბორუსია** | 4 | 1 | 2 | 1 | 5-5 | 5 |
| **დინამო** | 4 | 0 | 1 | 3 | 4-8 | 1 |


ლიონი — ფენერბახჩე

## C ჯგუფი

**არსენალი – პანათინაიკოსი 2-1**

***არსენალი:*** რაიტი, აპსონი, ეშლი კოული, ვიეირა, კემპბელი, ლორენი, ვან ბრონჰოსტი, ლიუნგბერგი, პირესი (პარლორი 71), ვილტორდი (ბერხკამპი 71), ანრი (გრიმანდი 90)
***პანათინაიკოსი:*** ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, მიჰაელსენი, ვოკოლოსი, კირგიაკოსი, პაულო სოუზა (სეიტარიდისი 78), ბასინასი, ფისასი, კარაგუნისი (კოლკა 78), კონსტანტინუ (ვლაოვიჩი 78), ოლისადებე.
*გოლები:* 1-0 ანრი (23), 1-1 ოლისადებე (50), 2-1 ანრი (52 პენ).


იუვენტუსი — რუსენბორგი

**მალიორკა – შალკე 0-4**

***მალიორკა:*** როა, კამპანო (ნოვო 76), სოლერი, ნინო, პაუნოვიჩი, ეტო'ო, დიასი (დომინგუში 56), ოლაიზოლა, მარკოსი, ლუკე, ნადალი (ფატიხი 26)
***შალკე:*** რეკი, ვან კერკჰოვენი, მატელანი, ჰოტო, ტონი (ნემეცი 80), ვალდოხი, ვერმანტი, ვილმოტსი (ბიუსკენსი 74), ასამოა, ვან ჰოოგდალემი (კმეში 78), სანდი.
*გოლები:* ვან ჰოოგდალემი (15), ჰაიტო (22 პენ), ასამოა (73), სანდი (84).
*გააძევეს:* ეტო'ო (მალიორკა).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **პანათინაიკ.** | 4 | 3 | 0 | 1 | 6-2 | 9 |
| **არსენალი** | 4 | 2 | 0 | 2 | 5-5 | 6 |
| **მალიორკა** | 4 | 2 | 0 | 2 | 2-6 | 6 |
| **შალკე** | 4 | 1 | 0 | 3 | 6-6 | 3 |


ბარსელონა — ბაიერი

## D ჯგუფი

**ლაციო – პსვ 2-1**

***ლაციო:*** პერუცი, პანკარო, ჯანიკედა, ფავალი, სტამი, ფერნანდო კოუტუ, ფიორე (ბაჯო 82), მენდიეტა, პობორსკი (ნეგრო 74), ს. ინძაგი (კრესპო 61), კლაუდიო ლოპესი.
***პსვ:*** ლუდევიკსი, ოიერი, ფაბერი, ჰაინცი (ბრიუგინკი 84), ფოგელი, დე იონგი (ლუჩიუსი 46), ნიკიფოროვი (ჰესელინკი 66), ბუმა, ჰოფლანდი, რომედალი, კეჟმ.ნ.
*გოლები:* 1-0 ფიორე (39), 2-0 კლაუდიო ლოპესი (55 პენ), 2-1 კეჟმანი (56)

**გალათასარაი – ნანტი 0-0**

***გალათასარაი:*** მონდრაგონი, ვედატი, ემრე ასიკი, ბიულენტი აკინი (სუატი კაია 65), პერესი, სერგენი, შერკანი (ცარანი 59), ერგიუნი, ჰაკანი უნსალი, არიფი (ფლერკვინი 74), ჰასანი შაში.
***ნანტი:*** ლანდრო, ფაბრი, ანდრე (ვაირუა 70), დელომო, ბერსონი, ახამადა (და როშა 65), ჯემბა, კვინტი, არმანდი, დეროფი, ზიანი.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ნანტი** | 4 | 2 | 1 | 1 | 7-3 | 7 |
| **გალათასარაი** | 4 | 2 | 1 | 1 | 3-3 | 7 |
| **პსვ** | 4 | 2 | 0 | 2 | 6-7 | 6 |
| **ლაციო** | 4 | 1 | 0 | 3 | 3-6 | 3 |

## E ჯგუფი

**პორტუ – სელტიკი**

***პორტუ:*** ოვჩინიკოვი, კარვალიუ, ანდრადე, და სილვა, იბარა, პარადესი, კოშტინია (სოდეროსტრიომი 82), ნუნუ კაპუჩო (პაულო კოშტა 86), დეკუ, კლეიტონი (რუბენს ჟუნიორი 75), პენია.
***სელტიკი:*** დუგლასი, ვალგარენი, ბალდე, მიალბიუ, ტომპსონი (მორავჩიკი 56), ლამბერტი, ლენონი, აგატი, პეტროვი (სილა 67), ჰარტსონი (მელონი 88), ლარსონი.
*გოლები:* კლეიტონი (1), და სილვა (45), კლეიტონი (61).

**იუვენტუსი – რუსენბორგი 1-0**

***იუვენტუსი:*** ბუფონი, ტიურამი, მონტერო, ტუდორი, პესოტო, მარესკა (იულიანო 61), ძამბროტა, დავიდსი, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე.
***რუსენბორგი:*** არასონი, ბასმა, ჰოფტუნი, ბ. იონსენი, ბერგი, საარინენი, სტრანდი, სკამელსრუდი, ელ ფაკირი (ცნერლი 46), ბრატბაკი (ჯორჯი 60), რუშფელდტი.
*გოლი:* ტრეზეგე (25)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **იუვენტუსი** | 4 | 2 | 2 | 0 | 5-3 | 8 |
| **პორტუ** | 4 | 2 | 1 | 1 | 5-2 | 7 |
| **სელტიკი** | 4 | 2 | 0 | 2 | 4-6 | 6 |
| **რუსენბორგი** | 4 | 0 | 1 | 3 | 2-5 | 1 |


ბორუსია — ბოავიშტა

## F ჯგუფი

**ბარსელონა – ბაიერი 2-1**

***ბარსელონა:*** ბონანო, დე ბური, კრისტანვალი, პუიოლი, კოკო, ხავი (ჰერარდი 48), კოკუ, ლუის ენრიკე, კლიუვერტი, რივალდო (გაბრი 74), სავიოლა (ჯოვანი 79).
***ბაიერი:*** ბუტი, ნოვოტნი (ჟივკოვიჩი 46), ლუსიო, პლასენტე, შნაიდერი, ბასთურქი, რომელოვი (შებეშენი 76), ბალაკი, ზე რობერტო, კირსტენი (ბრდარიჩი 76), ნოივილი.
*გოლები:* 1-0 კლიუვერტი (12), 1-1 რამელოვი (32), 2-1 ლუის ენრიკე (38).

**ლიონი – ფენერბახჩე 3-1**

***ლიონი:*** კუპე, ედმილსონი, შანელე, ვიოლო, ფოე, დელ მოტი, მიულერი, ჟუნინიო (ბრეშე 67), კარიერი, გოვუ, ლუინდულა.
***ფენერბახჩე:*** რუშთუ, მერიჩი, ოგიუნი, უმით ოზათი, დოგანი (უიგარი 25), ალი (რაპაიჩი 73), ლაზეტიჩი (გიუნეში 73), აბდულა, იუსუფი, ოქთაი, რევივო.
*გოლები:* 0-1 ოქთაი (35), 1-1 გოვუ (45), 2-1 კარიერი (53), 3-1 დელმოტი (68).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბარსელონა** | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 |
| **ბაიერი** | 4 | 3 | 0 | 1 | 6-4 | 9 |
| **ლიონი** | 4 | 2 | 0 | 2 | 4-4 | 6 |
| **ფენერბახჩე** | 4 | 0 | 0 | 4 | 2-9 | 0 |

## G ჯგუფი

**მანჩესტერი – დეპორტივო 2-3**

***მანჩესტერი:*** ბარტეზი, გ. ნევილი, ირვინი (სოლსკიაერი 85), ბლანი, იონსენი (ბრაუნი 8), კინი, ბექჰემი, ვერონი, სქოულზი (კოული 63), ვან ნისტელროი, გიგზი.
***დეპორტივო:*** მოლინა (ნუნო 46), რომერო (კაპდევილა 79), ნაიბეტი, ექტორი, დუშერი, დონატო, სერხიო გონსალესი, ამავისკა, ვალერონი, ვიქტორ სანჩესი, დიეგო ტრისტანი (პანდიანი 82).
*გოლები:* 1-0 ვან ნისტელროი (7), 1-1 სერხიო გონსალესი (37), 1-2 დიეგო ტრისტანი (39), 2-2 ვან ნისტელროი (40), 2-3 დიეგო ტრისტანი (60).

**ოლიმპიაკოსი – ლილი 2-1**

***ოლიმპიაკოსი:*** ელეფტეროპულოსი, პაცაცოღლუ, ბერმუდესი (ამანატიდისი 46), ვენეტიდისი, ანატოლაკისი, კარამბე, მავროგენიდისი (ნინიადისი 55), ოფორი კუაიე, ზეტერბერგი (ჯოვანი 46), ალექსანდრისი, ჯორჯევიჩი.
***ლილი:*** ვიმბე, სიგანი, ფაჰმი, მურატი (ბეკი 84), ეკერი, დ'ამიკო, შეირუ, დელპიერი, ლარდინი, ოლუფადე, ბაკარი (ბასირი 5)
*გოლები:* 0-1 ბასირი (38), 1-1 ალექსანდრისი (53), 2-1 ნინიადისი (64).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **დეპორტივო** | 4 | 2 | 2 | 0 | 8-6 | 8 |
| **მანჩესტერი** | 4 | 2 | 0 | 2 | 6-5 | 6 |
| **ლილი** | 4 | 1 | 1 | 2 | 5-5 | 4 |
| **ოლიმპიაკ.** | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |

## H ჯგუფი

**ბაიერნი – სპარტაკი 5-1**

***ბაიერნი:*** კანი, სანიოლი, კუფური, ლიზარაზიუ, რ. კოვაჩი (ლინკე 85), ფინკი, ჰარგრივსი, სალიჰამიჯიჩი, პაულო სერჟიო (ციკლერი 78), ელბერი (სანტა კრუსი 65), პიზარო.
***სპარტაკი:*** ლევიცკი, კოვტუნი, ჩუისე, მიტრევსკი, პარფიონოვი, ბულატოვი, ბარანოვი, ციხმეისტრუკი, ტიტოვი, რობსონი, ბესჩასტნიხი.
*გოლები:* 1-0 პიზარო (7), 2-0 პიზარო (22), 3-0 ელბერი (33), 4-0 ელბერი (52), 4-1 ბესჩასტნიხი (58), 5-1 ციკლერი (90).

**ფეიენოორდი – სპარტა 0-2**

***ფეიენოორდი:*** ტიმერი, რეასა, ვიტორი, ვან ვონდერენი, ბოსველტი, ონო, პააუვე, დე ჰაანი, ემერტონი (კალუ 46), კოლენი (ლეონარდო 63), ვან ჰაიდონკი.
***სპარტა:*** ჩეხი, გრიგერა, ლაბანტი, ჰაშეკი, ნოვოტნი, ჰარტიგი, სიონკო, ჰიუბშმანი, მიხალიკი, იაროშიკი, კინჩლი.
*გოლები:* იაროშიკი (43), ნოვოტნი (78).
*გააძევეს:* ვან ჰოიდონკი (67), დე ჰაანი (74)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **სპარტა** | 4 | 3 | 1 | 0 | 8-0 | 10 |
| **ბაიერნი** | 4 | 2 | 2 | 0 | 10-4 | 8 |
| **ფეიენოორდი** | 4 | 0 | 2 | 2 | 4-10 | 2 |
| **სპარტაკი** | 4 | 0 | 1 | 3 | 4-12 | 1 |

UEFA CUP

***ვიკინგი — ჰერტა 0-1***
პრეეცი (5)

***როდა — მაკაბი (თელ-ავივი) 4-1***
1-0 სუტარსი (4), 2-0 სუტარსი (35), 3-0 ბერგლენდი (54), 3-1 ჰორვატი (78), 4-1 სონკავა (85).


ვიკინგი — ჰერტა

ეროვნული
ბიბლიოთეკა


# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №12 (20) ოქტომბერი, 2001 წელი


European Karate Championships
Tbilisi 2001
W.S.K.F.

# საქართველოს კარატე XXI საუკუნეში










XXI საუკუნე საქართველოს კარატესთვის ბრწყინვალედ დაიწყო, ევროპის ჩემპიონატი ჩატარდა პირველად, რომლის შემაჯამებელი პრესკონფერენციაც საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ფედერაციამ 16 ოქტომბერს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართა. პრესკონფერენციაზე განიხილეს ის არაერთი სიძნელე, რომელიც დაგეგმვის დღიდან იყო და ბოლო ფაზაში შესვლის დროს უფრო გაძლიერდა - „მაგრამ უკან დასახევი გზა უკვე აღარ იყო, თუმცა დიდი რისკი იყო გზის გაგრძელებაც, როგორ ჩატარდებოდა ევროპის ჩემპიონატი" - განაცხადა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა თემურ რამიშვილმა.

ამჯერად, უკვე შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში კარატე საკმაოდ განვითარებული და პოპულარულიცაა, ამის დასტურია, რომ ასობით ქართველმა კარატისტმა მიიღო მონაწილეობა ამ ჩემპიონატში და ათასობით მაყურებელი ესწრებოდა და მეორეც, საქართველო მთელმა ევროპამ ნახა და გაიგონა მისი ავკარგი, ე.ი. საქართველოში კარატე განვითარებულია, გარკვეულ, საკმაოდ მაღალ დონეზე დგას და სწორედ ამიტომაც ეწვია თბილისი 2001-ის ევროპის ჩემპიონატს ასობით უცხოელი სპორტსმენი. აქვე აღვნიშნავთ მათ განცვიფრებას კმაყოფილებას საქართველოს კარატეს სპორტული დონით.



პრესკონფერენციაზე ფედერაციის პრეზიდენტმა კახა ბასილიამ თქვა - „ეს ჩემპიონატი საქართველოს კარატეს და მთლიანად ქვეყნის სახე და სახელი იყო. პირადად მე კმაყოფილი ვარ, მხოლოდ ამ ეტაპზე. კმაყოფილი ვარ იმ ხალხის, რომლებიც პირველივე დღიდან გვერდში დაგვიდგნენ. განსაკუთრებით დიდი მადლობა მინდა მოვახსენო კომპანია „შევრონის" რეგიონალურ მენეჯერს, დავით ხუროძეს, რომელმაც, მართლაც რომ დროულად გამოიჩინა მეცენატობა და გულისხმიერება. ის რომ არა, ეს ჩემპიონატი კარგად კი, არა შეიძლება საერთოდ ვერ ჩატარებულიყო".

ასე რომ, ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულებს და პრიზიორებს უკვე დაუფასდათ - სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ირაკლი მეძმარიაშვილმა ისინი საპატიო სიგელებით დააჯილდოვა კახა ბასილიასთან ერთად.

ამჯერად, შეიძლება მართლაც მაღალ დონეზე შეფასდეს, ყოველგვარი გადამეტების გარეშე, დღევანდელი მდგომარეობიდან და გუშინდელი გადმოსახედიდან. ეს ხომ პირველი, საკმაოდ გაბედული ნაბიჯი გადადგა საქართველოს კარატეს სამყარომ და სწორედ ახლა უნდა გვერდში დგომა, რათა ეს ზვავივით წამოსული ენერგია უშრეტი გახდეს, და არა ბავშვის მიერ გაგორებული ბურთის მსგავსად არ დაკარგოს ინერცია.

## ბატონო მიშა!

### საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თქვენ გიჭერთ მხარს



**5-7 ოქტომბერს, პირველად საქართველოში ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი კარატე-დოში, რომლის მსგავსი გრანდიოზული ღონისძიებაც ქართული სპორტის ისტორიას არ ახსოვს. ეს კი წინ წაწეული კიდევ ერთი ნაბიჯია, რაც პირველ რიგში კ. ბასილიას დამსახურებაა და შემდეგ ყველა იმ პიროვნების, რომელმაც რეალურად შეაფასა ამ ჩემპიონატის როლი ჩვენი სპორტის განვითარებისათვის და ყველაფერი იღონა მისი წარმატებით ჩატარებისათვის. ხაზგასმულია ბატონ მიშა სააკაშვილის წვლილი, როგორც ამ ღონისძიების ორგანიზებაში, ისე საქართველოს კარატე-დოს ფედერაციის განვითარებაში. ეს ღირსეული პიროვნება არაერთგზის დახმარებია ჩვენს სპორტსმენებს გაჭირვების ჟამს, რის გამოც მთელი ჩვენი ფედერაცია და მისი პრეზიდენტი ბატონი კახა ბასილია წარმატებას უსურვებს მაჟორიტარულ არჩევნებში.**

## ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი

საქართველოში კარატეს ბუმი 70-იან წლებში დაიწყო. თავდაპირველად ამ ბუმმა დედაქალაქი, ხოლო შემდეგ საქართველოს რეგიონებიც დაიპყრო.

აჭარაში კარატემ 70-იანი წლებში დაიწყო განვითარება. ამ საქმიანობის სულისჩამდგმელი და პიონერი გახლდათ ბატონი ნოდარ ხაჯიშვილი, რომელიც დღესაც აქტიურად ეწევა მისთვის საყვარელ საქმიანობას.

ცნობისათვის:

ნოდარ ხაჯიშვილი დაიბადა 1961 წლის 22 ივლისს, ქობულეთის რ-ნის სოფ. ქვედა აჭყვაში.

1977 წელს დაამთავრა სოფ. აჭყვის საშუალო სკოლა.

1978 წელს ჩააბარა ქ. ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, გეოგრაფია-ბუნებისმეტყველება ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტზე.

1982 წელს ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა ქობულეთის რ-ნის სოფლების საშუალო სკოლებში ფიზკულტურის მასწავლებლად.

1985-1990 წწ. მუშაობდა 1. ბათუმის შ. რუსთაველის სახ. სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის, ფიზიკური აღზრდისა და თეორისს მეთოდიკის კათედრაზე ლექტორად.

1991 წელს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შ.ს. სამინისტროს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის განყოფილების უფროსად.

1993 წელს შ.ს. მინისტრის მოადგილედ მუშაობდა.

1997 წელს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის კოლეგიის დადგენილებით არჩეული იქნა აღმოსავლური საბრძოლო ხელოვნების საკოორდინაციო საბჭოს თავმჯდომარედ.

1998 წელს აირჩიეს საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მიერ აჭარის ორგანიზაციის ვიცე-პრეზიდენტად.

ფლობს შავ ქამარს, მესამე ხარისხს. არის საქართველოს ორგზის ჩემპიონი, მსოფლიოსა და ევროპის პრიზიორი.



ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

კარატეში ვარჯიში 70-იანი წლების დასაწყისში დაიწყო. სპორტული მიღწევების შემდეგ 1985 წელს ჩამოაყალიბა აჭარის ქართული და აღმოსავლური ხელოვნების ასოციაცია, რომლის პრეზიდენტად თავად ნოდარ ხაჯიშვილი აირჩიეს.

ბატონი ნოდარი გახლავთ მრავალი კარატისტის, მწვრთნელ-პედაგოგის აღმზრდელი. უნდა მოგახსენოთ, ისიც რომ მის მიერ გახსნილი სექციები და კლუბები დღესაც აქტიურად ფუნქციონირებენ აჭარაში. აქვე შეგახსენებთ რომ იგი არის აჭარის შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი.

ერთი სიტყვით მთელი თავისი განვლილი ცხოვრება მან თაობათა გაჯანსაღებასა და აღზრდას დაუთმო, თუმცა, დღესაც ერთგულია თავის პრინციპებისადმი და დღესაც უმზადებს საქართველოს მომავალ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს. ასეთი დაუღალავი შრომისათვის, აღმოსავლური ორთაბრძოლების ხელოვნების პოპულარიზაციისათვის, ოლიმპიზმის იდეების პროპაგანდისა და ოლიმპიურ საზოგადოებათა განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის, მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით (15.08.01) იგი დაჯილდოვდა ღირსების ორდენით. ამას ემატება ის ფაქტიც, რომ ევროპის ჩემპიონატზე, რომელიც მიმდინარე წლის 5-7 ოქტომბერს, ქ. თბილისში გაიმართა, მან ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ვეტერანთა შორის, ინდივიდუალურ კუმიტეში.

ნოდარ ხაჯიშვილი პიროვნებაა, რომელმაც მართლაც მთელი ცხოვრება მიუძღვნა კარატეს, ამ მართლაც ძნელ და ვაჟკაცურ, საქმეს და გზას. შეიძლება, ზოგს ეს სამოღვაწეო გზა იოლი ჰგონია. არა, პირიქით - აქ ხომ იმ ადამიანთან გვაქვს საქმე, რომლის ფიზიკური სხეული და სულის დიდი ნაწილი შენს ხელთაა, როგორც აღზრდი, ისე აღიზრდება... მითუმეტეს, როდესაც საქმე მოზარდთან გვაქვს, ხომ ყველანაირად ჩვილია, სულითაც და ხორცითაც.

ასე რომ, ნოდარ ხაჯიშვილს საკმაოდ მძიმე ტვირთი აქვს ნატარები წლების განმავლობაში და დღეს კიდევაც ზიდავს, ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე.

აქ კიდევ ერთს აღვნიშნავ - ადამიანი, რომელიც ასეთ ასაკში და პირობებში ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი გახდება, უდავოდ დიდი სპორტსმენი და პიროვნებაა.

სამწუხაროდ ტექნიკური მიზეზების გამო გაზეთ „ლელოში" შეცდომით გავიდა ვეტერანთა შედეგები, სადაც გამორჩენილი იქნა ნ. ხაჯიშვილის გვარი, რისთვისაც ბოდიშს ვუხდით. საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრი.

# მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაცია
# მესამე ევროპის ჩემპიონატი კარატე-დოში
## 5-7 ოქტომბერი 2001 თბილისი/საქართველო სპორტის სასახლე

### ჩემპიონატში მონაწილე ქვეყნები:

| № ქვეყნები | ოქრო | ვერცხლი | ბრინჯაო | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 18 | 21 | 48 | 87 |
| 2. რუსეთი | 0 | 4 | 5 | 9 |
| 3. უკრაინა | 2 | 14 | 10 | 26 |
| 4. სომხეთი | 0 | 1 | 1 | 2 |
| 5. აზერბაიჯანი | 16 | 15 | 16 | 47 |
| 6. ბელარუსია | 17 | 14 | 2 | 33 |
| 7. კოსოვო | 5 | 1 | 8 | 14 |
| 8. იუგოსლავია | 0 | 0 | 0 | 0 |
| 9. გერმანია | 1 | 0 | 1 | 2 |
| 10. ჩეხოსლოვაკია | 0 | 0 | 0 | 0 |
| 11. თურქეთი | 0 | 0 | 11 | 11 |
| 12. მოლდოვა | 0 | 0 | 0 | 0 |
| 13. მაკედონია | 0 | 0 | 0 | 0 |
| 14. ბულგარეთი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 15. ისრაელი | 0 | 0 | 0 | 0 |
| 16. პოლონეთი | 0 | 4 | 0 | 4 |
| 17. ლიტვა | 1 | 0 | 0 | 1 |
| 18. ლატვია | 0 | 1 | 0 | 1 |

(მედლების რაოდენობა)

*ჩემპიონატში მონაწილეობდა დაახლოებით 1200 სპორტსმენი.*

### გოგონებისა და ჭაბუკების შედეგები

***1. ინდივიდუალური კატა. ჭაბუკები 8-13 წლები***
1 ადგილი ზახარ სავჩიცი ბელარუსია
2 ადგილი ჰენრი ვეკუა საქართველო
3 ადგილი ბექა კუხიანიძე საქართველო

***2. ინდივიდუალური კატა. ჭაბუკები 14-17 წლები***
1 ადგილი ნიკა წურწუმია უკრაინა
2 ადგილი გორდეი სნეგიროვი ბელარუსია
3 ადგილი გიგა ლაპიაშვილი საქართველო

***3. ინდივიდუალური კატა. გოგონები 8-13 წლები***
1 ადგილი ჩადიგა მამადოვა აზერბაიჯანი აზერბაიჯანი
2 ადგილი ქეთინო გოგბერაშვილი საქართველო
3 ადგილი ჰონულ რზაევა აზერბაიჯანი

***4. ინდივიდუალური კატა. გოგონები 14-17 წლები***
1 ადგილი იულია მანიუკ უკრაინა
2 ადგილი მაკა გორგაძე საქართველო
3 ადგილი ანა ძაძამია საქართველო

***5. გუნდური კატა. ჭაბუკები 8-13 წლები***
1 ადგილი ზ. სავჩიცი, ი. სამეცი, კ. ვისნევსკი ბელარუსია
2 ადგილი ი.შენგელია, ვ. კუხიანიძე, დ. ჭელიძე საქართველო
3 ადგილი გ. ლოხიშვილი, გ. ჯიბლაძე. საქართველო

***6. გუნდური კატა ვაჟები 14-17 წლები***
1 ადგილი გ. სნეგიროვი, ო. კუჩმასოცი, ი. თმილინი ბელარუსია
2 ადგილი დ. აბრამიშვილი, ვ. ხმალაძე, ლ. გორელაშვილი საქართველო
3 ადგილი ი. სლესარჩკი, ა. ვილკინი, ა. ვორონოვიჩი რუსეთი

***7. გოგონების გუნდური და შერეული კატა 8-13 წლები***
1 ადგილი ქ. გოგბერაშვილი, ე. გავაშელი, დ. ჭუბაბრია საქართველო
2 ადგილი ს. შაბლინკაია, ი. ბარმოტინა, ი. კოტელნიკოვი ბელარუსია
3 ადგილი დ. ჭელიძე, ი. შენგელია, ლ. სვანიძე საქართველო

***8. გოგონების გუნდური და შერეული კატა 14-17 წლები***
1 ადგილი ა. უსპიციანი, ნ. რიბაკლკო, თ. შევჩიკ ბელარუსია
2 ადგილი დ. ჭელიძე, თ. შენგელია, დ. სვანიძე საქართველო
3 ადგილი ლ. კიკალიშვილი, თ. მელუა, მ. გორგაძე საქართველო

***9. ინდივიდუალური კუმიტე. ჭაბუკები 8-9 წლები***
1 ადგილი შრენა ხაბეიშვილი საქართველო
2 ადგილი ჰენრი ვეკუა საქართველო
3 ადგილი იაგო სორდია საქართველო
3 ადგილი ბექა ჩაფოძე საქართველო

***10. ინდივიდუალური კუმიტე. ჭაბუკები 10-11 წლები***
1 ადგილი ნიჯატი ორჯულუ აზერბაიჯანი
2 ადგილი იკე კიასინიანი სომხეთი
3 ადგილი ზურაბ ყიფშიძე საქართველო
3 ადგილი ნარეკი ისკანდარიანი სომხეთი

***11. ინდივიდუალური კუმიტე. ჭაბუკები 12-13 წლები***
1 ადგილი ლევან გორელაშვილი საქართველო
2 ადგილი დათო ტყებუჩავა საქართველო
3 ადგილი ისრაელ ჩირინოვი აზერბაიჯანი
3 ადგილი ბექა კუხიანიძე საქართველო

***12. ინდივიდუალური კუმიტე. ჭაბუკები 14015 წლები***
1 ადგილი ნიაზ ალიევი აზერბაიჯანი
2 ადგილი თორნიკე ჩაჩანიძე საქართველო
3 ადგილი ვანუკ ოგანიანი საქართველო
3 ადგილი ირაკლი ტყებუჩავა საქართველო

***13. ინდივიდუალური კუმიტე. ჭაბუკები 16-17 წლები***
1 ადგილი გიორგი გოლოშვილი საქართველო
2 ადგილი ამალი ატაევი აზერბაიჯანი
3 ადგილი გარსევან ადამიანი საქართველო
3 ადგილი ნინო მაისურაძე საქართველო

***14. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 10-11 წლები***
1 ადგილი ნინო პატაშური
2 ადგილი ანა თავაძე საქართველო
3 ადგილი ნინო მაისურაძე საქართველო

***15. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 10-11 წლები***
1 ადგილი ნათია ფურქია საქართველო
2 ადგილი სალომე ტურაბელიძე საქართველო
3 ადგილი ნათია სულამანიძე საქართველო

***16. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 12-13 წლები***
1 ადგილი ქეთინო გოგბერაშვილი საქართველო
2 ადგილი ქალთრინა სმაჯლი კოსოვო
3 ადგილი ნინო ჯოჯუა საქართველო

***17. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 14-15 წლები***
1 ადგილი თათია მელუა საქართველო
2 ადგილი მაკა გოგოაძე საქართველო
3 ადგილი ნაძეჟდა იანატეევა უკრაინა
3 ადგილი ინგა ქანთარია საქართველო

***18. ინდივიდუალური კუმიტე. გოგონები 16-17 წლები***
1 ადგილი შანკუნი ვუსიფოპვა აზერბაიჯანი
2 ადგილი მუფაევა გულნარა აზერბაიჯანი
3 ადგილი მარიგონა ბიადინი კოსოვო
3 ადგილი მანიუკ იულია უკრაინა

***19. გუნდური კუმიტე. გოგონები 16-17 წლები***
1 ადგილი გ. გოლოშვილი, გ. ადამიანი, დ. აბრამიშვილი, თ. ჩაჩანიძე საქართველო
2 ადგილი ი. სტეცი, ნ. წურწუმია,ა. აფონინი, ო. პენტელიაჩკი უკრაინა
3 ადგილი რ. სიატოვი, ნ. ალიევი, ე. ჰუსეინზადე, ნ. სულტანოვი თრქეთი
3 ადგილი ა. ატაევი, პ. ალიევი, ჰ. საფაროვი, მ. მენდიევი აზერბაიჯანი

### მამაკაცებისა და ქალების შედეგები

***1. ინდივიდუალური კატა. მამაკაცები***
1 ადგილი ჩაიალ მუსევ აზერბაიჯანი
2 ადგილი იასინ ისმაილოვი აზერბაიჯანი
3 ადგილი ნიკოლოზ რუცკინი ბელარუსია

***2. ინდივიდუალური კატა. ქალები***
1 ადგილი სვეტლანა სილკიან ბელარუსია
2 ადგილი ოლგა ვიკინა ბელარუსია
3 ადგილი ლელა სვანიძე საქართველო

***3. გუნდური კატა. მამაკაცები***
1 ადგილი ს. მუსაევა, ო. სულთანოვა, ნ. სულთანოვა აზერბაიჯანი
2 ადგილი ა. ნაზარენკო, ი. როზზანოვი, ა. განაპოლსკი ბელარუსია
3 ადგილი ზ. მესხი, ნ. წურწუმია, ჭ. მახარაძე საქართველო

***4. გუნდური კატა. ქალები***
1 ადგილი ს. ვილკინა, ნობაშინსკაია, ო. ვილკინა ბელარუსია
2 ადგილი ალეხევა მ. ალეხევა, ა. რიაბოვი, თ. სინიავსკაია რუსეთი
3 ადგილი ო. გოკალფ, ლ. გედიკ, ი. ერსინ თურქეთი

***5. გუნდური და შერეული კატა.***
1 ადგილი ი. როზმანოვი, ს. ვილკინა, ი. ნოვაშინსკაია ბელარუსია
2 ადგილი თ. გრაფზევსკი, ი. ზაკოვით, კ. მარკიევიჩ პოლონეთი
3 ადგილი ზ. მესხი, ჭ. მახარაძე, ნ. ნუცუბიძე საქართველო

***6. ინდივიდუალური კუმიტე. მამაკაცები***
1 ადგილი ანტონ ჯღამაძე საქართველო
2 ადგილი სახვაძე რამაზი საქართველო
3 ადგილი დავით ჟვანია საქართველო
3 ადგილი კობა ცერცვაძე საქართველო

***7. ინდივიდუალური კუმიტე. ქალები***
1 ადგილი ჰამიდე იბრაჰიმი კოსოვო
2 ადგილი ჯამილა მამედოვა აზერბაიჯანი
3 ადგილიოლგა მატიუშკინა უკრაინა
3 ადგილი შორენა შენგელია საქართველო

***8. ჯიუ-კუმიტე. მამაკაცები - 75 კგ.***
1 ადგილი ენისი იდრიზი კოსოვო
2 ადგილი ასივ ბოგიროვი აზერბაიჯანი
3 ადგილი დენისი გლინსკი ბელარუსია
3 ადგილი ალიკა მანძლაშვილი საქართველო

***9. ჯიუ-კუმიტე. მამაკაცები + 75 კგ.***
1 ადგილი რახმან ჰატამოვი აზერბაიჯანი
2 ადგილი ზაზა ბურჯანაძე საქართველო
3 ადგილი ნაზმი გაში კოსოვო
3 ადგილი რამზი მამედოვი აზერბაიჯანი

***10. გუნდური კუმიტე. მამაკაცები***
1 ადგილი ვ. მამედოვი, ფ. ნაჯიფოვი, რ. ჰატამოვი, ს. ჰუსეინოვი, ვ. ჯაფაროვა, ბაგიროვი აზერბაიჯანი
2 ადგილი ი. კოსი, ა. ნიკოლაი, ნ. წურწუმია, ო. გორბოვოი, რ. ვილოსკორსკი, პინკევიჩი უკრაინა
3 ადგილი გოლოშვილი, გაჩეჩილაძე, სააკაშვილი, სადაღაშვილი, სახვაძე საქართველო
3 ადგილი ა. ლატიფი, ს. ბირიშა, ჰ. გაში, ა. ტოსუნა, ე. იდრიზი, ზ. ნურედინი კოსოვო

***11. გუნდური კუმიტე. ქალები***
1 ადგილი ს. ზოგიანი, ჰ. იბრაჰიმი, მ. ბეადინი კოსოვო
2 ადგილი ო. ვილკინა, კატვიცკაია, ალეხევა, ნოვაშინსკაია ბელორუსია
3 ადგილი მამედოვა, ი. ბუტაევა, ს. იუსუბოვა აზერბაიჯანი
3 ადგილი ო. მატიჯასჩუკ, შ. გასინეცი, ა. კლემეშინა, კურტიან უკრაინა

### ვეტერანების შედეგები

***1. ინდივიდუალური კატა. მამაკაცები და ქალები 38 + წლები***
1 ადგილი სვეტლანა ვილკინა ბელარუსია
2 ადგილი სახიბ რზაევა აზერბაიჯანი
3 ადგილი ოკტაი მამადოვი აზერბაიჯანი

***2. ინდივიდუალური კუმიტე. მამაკაცები 38 + წლები***
1 ადგილი ბესო ხუციშვილი საქართველო
2 ადგილი გიორგი ყურაშვილი საქართველო
3 ადგილი ნიაზ ჰამატოვი აზერბაიჯანი
3 ადგილი სახიბრზაევ აზერბაიჯანი

***3. ჯიუ-კუმიტე. მამაკაცები 38 + წლები***
1 ადგილი ვეფხო ხუციშვილი საქართველო
2 ადგილი ნიაზ ჰატამოვი აზერბაიჯანი
3 ადგილი ნოდარ ხაჯიშვილი საქართველო
3 ადგილი იგორ ლიაშევი რუსეთი

## დებულება
## ქალაქ გორის ღია პირველობა
## 11 ნოემბერი 2001 წელი

ორგანიზატორები:
1) საქართველოს სპორტის დეპარტამენტი
2) საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია
3) გორის კარატე-დოს ფედერაცია

მიზანი და ამოცანები:
1) კარატეს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში.
2) მონაწილეობისათვის აუცილებელი პირობები:
1) გორის პირველობაში მონაწილეობა ფასიანია:
ნებისმიერი ასაკის სპორტსმენი - 5 ლარი
2) მონაწილემ აუცილებლად განაცხადთან ერთად უნდა იქონიოს დაბადების მოწმობა და „ბუდო პასპორტი“.
3) პირველობა ჩატარდება გოგონებსა და ვაჟებში, მხოლოდ ინდივიდუალურ კუმიტეში.
4) პირველობაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი ასაკის სპორტსმენები:
ვაჟები:
1) 7 წლამდე
2) 8-9 წელი
3) 10-11 წელი
4) 12-13 წელი
5) 12-15 წელი
6) 16-17 წელი
7) 18 + წლები

გოგონები:
1) 8, 9, 10, 11 წლები
2) 12, 13, 14, 15 წლები

5) კუმიტე - შობუ იპონი (ერთ იპონი)
6) განაცხადების მიღება 11 ნოემბერს დილის 9.00 სთ_მდე.

დრო და ადგილი:
1) პირველობა ჩატარდება 11 ნოემბერს, დასაწყისი 10 სთ-ზე
მისამართი: სტალინის ქუჩა, სპორტსკოლის შენობა.


საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს.
მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:
ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道



სტუდენტური სპორტი

ყურადღება!
საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი”. გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ.
მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.
ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი” – გაახალგაზრდავდით!


მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

## XX საუკუნის დიდი ფეხბურთელები

### ალფრედო დი სტეფანო:

# გმადლობთ, მოხუცო!

### არგენტინაში – პირველი, ესპანეთში – მეორე

დიდხანს არ ვყოფილვარ უსაქმოდ. „რივერმა“ მიხმო და დავთანხმდი. 1969 წლიდან, როცა დავემშვიდობე „ბოკას“, ბუენოს-აირესში მაირესში ალარ დავბრუნებულვ ⋅ რ. თუმცა რამდენიმე კლუბისაგან მქონდა მიწვევა. მიზეზი? არ მინდოდა ოჯახისგან განცალკევებით მეცხოვრა, სამხრეთამერიკული თამაშის სტილსაც გადავეჩვიე, და ბოლოს, ადგილიდან დაძვრა პეზარებოდა. მაგრამ მთავარი მიზეზი მაინც ოჯახი იყო. ოჯახს ყოველთვის მატარებელს ვადარებ. მე – მემანქანე, ან, თუ გნებავთ, ორთქლის ძრავა ვარ, ლოკომოტივი, ცოლი – ცეცხლფარეში, ამ ღუმელში ნახშირს რომ აწვდის, ბავშვები – ვაგონები, ოთხი მყავს. ისევ რატომლა მოვწყდი შემადგენლობას? ჯერ ერთი – შემომთავაზეს სარფიანი სამსახური, მეორეც, მას „რივერი“ იძლეოდა, კლუბი, რომელშიც კარიერა დავიწყე. უარი ცოდვად ჩამეთვლებოდა.

„რივერში“ საკმაოდ მძიმე სიტუაცია აღმოჩნდა. ეს იყო წელიწადი, რომელიც წინ უსწრებდა მსოფლიო ჩემპიონატ-82-ს, ესპანეთში რომ უნდა ჩატარებულიყო, და იქ არგენტინელებს უმაღლესი ტიტულის დაცვა უწევდათ. ნაკრებს მენოტო ამზადებდა და მას ყველაფერზე სრული კარტ-ბლანში ჰქონდა. ორშაბათს მიჰყავდა მოთამაშე და პარასკევს აბრუნებდა. მე რვაზე მიმინვდებოდა ხელი. მათთან ურთიერთობა შემეძლო პარასკევ საღამოს ან შაბათ დილას, კვირაობით – ტური.

ყველაფრის მიუხედავად, გავხდით ჩემპიონები. საკვირველი იქნებოდა, ეს რომ არ მომხდარიყო. ჯერ მარტო პისარელა რად ღირდა. „რივერესა“ და ნაკრების კაპიტანი, ფენომენური მოთამაშე და ადამიანი. მის გვერდით კი ფილოლი, ტარანტინი, ალონსო, გალიეგო. მათ შევურიე ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ახალგაზრდები დაბალი დივიზიონებიდან – გორდილიო, გოროსიტო, ეკტორი. წარმოგიდგენიათ, როგორი საქმეა ამ ასაკში გახდე ჩემპიონი? ბიჭები ძალიან შეეცადნენ და დიდ ოსტატებად იქცნენ.

„რივერმა“ საზეიმო ბანკეტი მოაწყო, რომ აღენიშნა „ნასიონალი“, როგორც იქ უწოდებენ ჩემპიონატს. მე დავპატიჟე დედა, ძმები. ერთი სიტყვით, ზეიმი შედგა. ჩვენ ჟურნალ „გრაფიკოს“ ყდაზე მოვხვდით.

მაგრამ არ გაგეცინოთ: „რივერი“ მივატოვე. სულ ერთი სეზონი ვიმუშავე. იმიტომ, რომ კვლავ მიმიწვია „რეალმა“. გამოჩენას, შეიძლება ითქვას, მშობლიურ კლუბში, ლუის მოლოვნიას ვუმადლოდი, რომელთანაც ოდესღაც დავიწყე ჩემი კარიერა მადრიდელთა რიგებში. იგი ტექნიკური მდივნის თანამდებობაზე მიდიოდა. იმედები, წარმტაცი ოცნებები უმალვე ღრუბლებით დაიფარა. რაზეც არ მივმართავდი, მპასუხობდნენ: „ეკონომია, ეკონომია, ეკონომია“... ეტყობოდა, არ ესმოდათ, გამარჯვება რომ მხოლოდ კარგი მოთამაშეებით შეიძლება. მათთვის ფული არ ემეტებოდათ. და მარტო ჩემი სახელის იმედად იყვნენ, ყოვლის მცოდნე და ყოვლის შემძლე ვიყავი თითქოს.

არც იმას ვიტყვი, რომ დაშლილი გუნდი მერგო. ბოლოს და ბოლოს, „რეალი“ „რეალია“. ამბობენ, რომ წამოვიყვანე აკოსტა. არა, ამ ფორვარდს, თუმცა არგენტინელია, არც კი ვიცნობდი. იგი „ატლეტიკომ“ გასინჯა, ვერ მოერგო და დირექტორატის ერთ-ერთმა წევრმა ხელიდან არ გუშვა. მართალი გითხრათ, მას არ ავიყვანდი. ცუდი მოთამაშე არაა, თამაშის აგება შეუძლია, ტექნიკურია, მაგრამ ძალიან ნელია, ისევე, როგორც ბევრი არგენტინელი ფეხბურთელი. არც მეტგოტს ავიყვანდი, ტანმაღალს, ძლიერი დარტყმით, ნათამაშევი აქვს ჰოლანდიის ლიგაში. მისით აღფრთოვანებულები იყვნენ, მაგრამ როგორც შეტევის კონსტრუქტორი, რისი პრეტენზიაც ჰქონდა – სუსტი იყო, „რეალისთვის“ – სუსტი. ორი წლის შემდეგ დაბრუნდა ჰოლანდიაში, შემდეგ ინგლისშიც ითამაშა, და უკვალოდ დაიკარგა. ამ ადგილზე დაწინაურდა დელ ბოსკე, „რეალის“ ახლანდელი მწვრთნელი. პირველ წელიწადს ყველაფერში მეორენი აღმოვჩნდით, რამაც მხოლოდ განამტკიცა ჩემში ნიადაგ უსიამო წინსართი „ექსი“. ხელიდან გავუშვით გამარჯვება ლიგაში. ბოლო ტურში „ვალენსიამ“ შინ გაგვტეხა – 0-1. ბილბაოს „ატლეტიკომ“ სულ ერთი ქულით გაგვასწრო. თასის ფინალი დავთმეთ მარადონიან „ბარსასთან“. წავაგეთ უეფას თასის ფინალიც გეტებორგში „აბერდინთან“. იმ დღეს საშინლად წვიმდა, გადაულებლივ, და მეტოქეებმა გაჟღენთილ გაზონზე დაგვჩაგრეს სირბილში. ფიზიკური კონდიცია არ აღმოგვაჩნდა საკმარისი.

### ხუთიანი ბურთეს

შემდეგ წელიწადს უსახსრობის გამო სასელექციო პოლიტიკაში არაფერი შეცვლილა. არ მომიწვევია, მაგრამ მიყიდეს წყვილი მოთამაშე. ლოზანო ჩამოვიდა ბელგიიდან, მაგრამ საბრალო, ტრავმებმა გააწამა, და ვ⋅რ შეძლო ეჩვენებინა თამაშში ის, რაც შეეძლო. კანარის კუნძულებიდან ჩამოფრინდა ხულიო და იგი არ შეეფერებოდა გუნდის მოთხოვნებს.

მაგრამ აუცილებელი იყო რაღაცის შეცვლა. ახალი სისხლი ყოველთვის საჭიროა და ამიტომაც ახალგაზრდებზე მეჭირა თვალი. კიდევ კარგი, რომ „რეალში“, ისევე, როგორც „რივერეში“, ტრადიციულად გულმოდგინედ ამეცადინებენ ბავშვებს. და ამისთვის საუცხოო ბაზაა. პრობლემა მხოლოდ ის არის, როგორ შეავიწროვონ მოხუცები. ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი, რომ უმტკივნეულოდ ეს არ ხდება.

მაგრამ, რაკი საჭიროა, უნდა მოხდეს. დავასახელებ მხოლოდ ჩემგან ხელდასმულ რამდენიმე კარგად ცნობილ ფეხბურთელს. პირველ ყოვლისა, ესენია: სანჩესი და მარტინ ვასკესი. სანჩესს თვალყურს ვადევნებდი „რეალის“ რეზერვისტთა შეხვედრებში ხუთშაბათობით. იგი გამოირჩეოდა კოლოსალური შრომისუნარიანობითა და მოძრაობით. მარტინ ვესკესი უფრო ახალგაზრდა იყო, თხუთმეტი წლის იგი უკვე საუკეთესო მოზარდ ფეხბურთელად სცნეს არგენტინის ტურნირზე. მე ისინი გასახდელში მივიყვანე, სიცივისაგან წიწილებივით კანკალებდნენ, და დანარჩენ ცხრას ვუთხარი: „ბიჭებო, ეს ორნი მეტოქეები კი არა, მეგობრები არიან თქვენი, მიეცით მათ ბურთი, რომ ითამაშონ, გაამხნევეთ სიტყვითა და საქმით“.

მიმართვამ გაჭრა. ასეთი სახელოვანი კლუბის მაისურის მორგება არ არის ადვილი, მაგრამ ორივემ ბრწყინვალედ დაიწყო თამაში. ასეთ შემთხვევაში ამბობენ: ნდობა გაამართლეს. სანჩესმა დებიუტშივე სატრიუმფო გოლი გაიტანა სხვის მინდორზე. და ძალიან დამენანა, მარტინ ვასკესი მერე რომ მიჰყიდეს „ტორინოს“, თუნდაც კარგ ფასად. მიმაჩნია, რომ ისე, როგორც „რეალში“, მას არსად უთამაშია.

უფრო მეტად განვიცადე, როცა მთლად მუქთად გაიყიდა პარდესი. აი, ის იყო შექმნილი „რეალისთვის“. ჭკვიანი, ერთნაირად სასარგებლო



მოთამაშე იყო როგორც ფრთაზე, ისე შუა მინდორზე – ერთი სიტყვით, მრავალფუნქციური. მახსოვს, ერთხელ ბუტრაგენიო დაშავდა. მუხლი გაუსივდა, დაუწითლდა. შეცვლა მაშინ შეიძლებოდა, ვკითხე: „გინდა, შეგცვალო?“ შესვენების შემდეგ, როცა ანგარიშში დავწინაურდით, დამთანხმდა და სათამაშოდ პერდესა გავიდა. როგორი სტვენით შეხვდა ჩემს ამ გადაწყვეტილებას სტადიონი „ბერნაბეუ“! და ბიჭმა ხუთ წუთში ხმა ჩააკმენდინა მსტვენელებს.

ცალკე უნდა ითქვას მიჩელზე. მისი პატარა ვალი მაქვს. ადრე უნდა გამეშვა მინდორზე. ცხადი იყო მისი გამორჩეულობა: მოძრაობდა ელეგანტურად, თავაწეული. მაგრამ ამ ადგილზე გალიეგო გვყავდა, ასეთ მოთამაშეს კი, უბრალოდ, ვერ შეცვლი, და კიდევ სახელგანთქმული გერმანელი შტილიკე. ხოშის გამო მოთამაშის შეცვლა არ ხდება, მხოლოდ გარდუვალობით კეთდება ეს. მათ შორის მიჩელს ამ წყვილში ვერ „შეჩხირავდი“, არაფერი ესაქმებოდა იქ. ეს ავუხსენი, დამეთანხმა. მაგრამ შინაგანად ცახცახებდა, ვფიქრობ, დი სტეფანოს რომ უყურებდა. გაისად იგი ამანსიოს ნაცვლად დავაყენე და მთელი წყენა დაავიწყდა. მიჩელი ესპანეთის ფეხბურთის ისტორიაში შევიდა როგორც ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფიგურა. ეს ახალგაზრდა, ან, უფრო ზუსტად, ნორჩი ნიჭიერება „ბურტეს ხუთეულად“ მოვნათლეთ. მასთან დაკავშირებულია კლუბის ტრი⋅ ფების ახალი ეტაპი, როგორც ⋅იდა ტურნირებში, ასევე საერთაშორისო სარბიელზე.

თვით ბუტრაგენიოს გვარიანი ცდა მოუხდა, რამდენიმე ტური, თებერვლამდე, მისი ჯერი რომ დამდგარიყო.

მისი შეცვლაზე გამოსვლა არავის გამორჩენია, საფუძველი დაუდო ბრწყინვალე კარიერას, ეს სახელი ერთიანად შეერწყა კლუბის მარკას. ბუტრაგენიომ „რეალს“ გაუგრძელა ევროპული ფეხბურთის ყველაზე მაღალი მწვერვალების დალაშქვრა. ინტივიტიური მოთამაშე, დიდი წარმოდგენით და იმავდროულად უდიდესი დარტყმის ძალით, მინდვრის სამმეოთხედზე თვალშეუვალად მოძრავი. აქტიურად მონაწილეობდა გოლის შექმნაში, თავადაც გაჰქონდა ბურთი კარში. მას ვერ უწოდებდი გუნდურ მოთამაშეს, ამისთვის სათანადო ფიზიკური მომზადება აკლდა. მასში თავმოყრილი იყო შემოქმედებითი საწყისი და აუცილებელი ძალდატანება დამამთავრებელ ფაზაში. პენალტის ზონაში კი მტაცებელი თევზივით იყო, შანსს ხელიდან არ გაუშვებდა. ბურთი ფეხზე მიდგმულივით ჰქონდა, რაც მასთან საჯარიმოში ბრძოლაში ჩაბმულ მცველებს დიდ საფრთხეს უქმნიდა, პენალტი რომ არ დაემსახურებინათ. და ეს, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მომხდარა.

თამამად ვიტყვი, [illegible] – [illegible] რომ [illegible] გამოჩენილ ფეხბურთელს, მთელი რიგი წლების განმავლობაში სარგებლობა მოჰქონდა კლუბისა და ნაკრებისათვის. მიხარია, რომ გაზრდაში დავეხმარე მას, რეზერვისტის საფეხურებით ლიგამდე და ევროტურნირებამდე ავიყვანე. „თესლი გადაგდებულია ნაყოფი რომ ამოიყაროს, და მიეშველე მას გასაზრდელად“ – მღერის პერუელი მომღერალი ქალი მერსედეს სოსო, რომელიც ძალიან მომწონს.

### მერხი განსასჯელად

არ დავმალავ, „რეალში“ მუშაობა დიდ სიამოვნებას მგვრიდა, მაგრამ დირექტორატს ხელს არ აძლევდა ესპანეთის პირველობაში მეორეხარისხოვანი როლი, მოცდა კი, მათ არ სურდათ, და კვლავ იძულებული გავხდი განსასჯელად მწვრთნელის სკამი ბალის მერხზე გამეცვალა. ნუთუ ასეთი ბედუკუღმართი ვარ? „ვალენსიასთან“ ერთად მეორე ადგილს მივწვდი, და გამანთავისუფლეს, მეორედ მოვიგე უეფას თასი, კვლავ გადამაყენეს. უნდა ვაღიარო, რომ „მადრიდში“ დიდხანს ვაპირებდი მუშაობას, შევქმენი საფუძველი, მაგრამ შენობის აგება ვერ მომიხდა. ჩემს კარიერას რომ ვაჯამებ, ვფიქრობ, მეტი მივეცი ფეხბურთს, ვიდრე მან მომცა როგორც მოთამაშესა და მწვრთნელს.

მთელი სულითა და გულით ვმუშაობდი, მაგრამ ნალების მოხდა არ შემეძლო. მიმაჩნდა, რომ შედეგები თავისთავად ლაპარაკობს, არ წარმომიჩენია თავი პრესაში, არ მივაჭრია კონტრაქტის შედგენაზე, არც გადასვლები გამიზვიადებია რაიმე მოვლენად, როგორც ზოგიერთი გამოჩენილი მოთამაშე და მწვრთნელი სჩადის ამას. შეიძლება ითქვას, ხელით ქაღალდებს ვაწერდი, იდაყვით კი მელნით ვთხუპნიდი.

ერთი წლის უსაქმურობის შემდეგ კვლავ მიმიწვია „ვალენსიამ“. „ვიძირებით, გვიშველე!“ მეგობრები არ მირჩევდნენ, მე კი დავთანხმდი.

მშობლიურად მექცა კლუბი, არ შემეძლო მასთან დაკავშირებული ბედნიერების მომენტების დავიწყება: 71-ის ჩემპიონობა, უეფას თასი 80-ში. შორს ყოველგვარი წყენა! კვლავ გადავეშვი მორევში. ლიგის დასასრულს ზედიზედ ორი შეხვედრა მოვიგეთ „სევილიასთან“ და „ვესტალისთან“. იმედის სხივი აკიაფდა ჩვენს წინ. მაგრამ ბოლოსწინა ტურში ბარსელონაში გავემგზავრეთ და „ნიუ კამპზე“ სამი „მშრალი“ ბურთი მივიღეთ. მშვიდობით, ლიგა!

დაშვება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ზეასვლა. გუნდმა მთელი ძალა შეალია, რომ დაბრუნებულიყო, მიზნის მიღწევას ნაბიჯიღა აკლდა და უცებ შინ წააგო „სარაგოსასთან“. ამისთვის წითელი ბარათი ამიფრიალეს.

დამთავრდა მესამე ცდა „ვალენსიაში“ და დაიწყო მესამე არგენტინაში. კვლავ მიხმო „ბოკომ“; რა მექნა, თუკი ყველაზე მძიმე წუთს გამიხსენეს. იდგა 1985 წელი. ისევ ბუენოს-აირესში ვარ, ოჯახი ისევ მადრიდშია. ასეთია სპორტული ცხოვრება. და კვლავ პრობლემები, პრობლემები, პრობლემები. სასწრაფოდაა შესაძენი მოთამაშეები – ფული არ არის. ფეხბურთელებს ხელფასი უნდა მისცეს – ფული არ არის. შედეგად, თავად მოვითხოვე გავეშვით. რამ ამიჩუყა გული, ინჩადების რეაქციამ. არასდროს და არსად შემხვედრია ასეთი კეთილშობილი მაყურებელი. მათგან იმდენი სითბო მივიღე, ცოტა რამ კი გავაკეთე. გადავწყვიტე დავმჯდარიყავი და სერიოზულად გადამეწყვიტა, როგორ მეცხოვრა შემდგომ.

საკმაოდ ბევრი ვიფიქრე. ველარავინ ამაცდენდა გზას, რომელსაც „რეალში“ უნდა დავებრუნებინე.

სამეფო კლუბის ერთ-ერთ ყველაზე თანმიმდევრულ თაყვანისმცემლად ვიქეცი. მასზე ვფიქრობდი, და არცთუ ტყუილად. 1990-1991 წლების სეზონში მისმა პრეზიდენტმა რამინ მენდოზამ თანაშემწის თანამდებობა შემომთავაზა. რატომ გავახსენდი? ვფიქრობ, ღვთის ნება იყო. კვლავ ალაპარაკდა ჩემზე პრესა, ბოლო ოცდათხუთმეტწლეულის საუკეთესო ფეხბურთელად დამასახელეს.

რატომ ოცდათხუთმეტწლეულის? სწორედ ამდენი წელი შესრულდა, რაც „ფრანს ფუტბოლმა“ დააწესა პრიზი „ოქროს ბურთი“. იგი ორი მაქვს. პირველი 1957 წელს მივიღე, მეორე – 1959-ში.

კლუბს ვერ ჰქონდა საქმე კარგად. მიმდინარეობდა თაობათა ცვლა. ეს ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ ზოგჯერ ძალზე მტკივნეულად მიდის, თუ დროულად არ მიხედავ. წავიდნენ შუსტერი და მარტინ ვასკესი. მიიღეს კამერუნელი მილა მინდვრის შუაგულის გასამაგრებლად, ასაკოვანი მოთამაშე ტრავმებისადმი მიდრეკილებით. კარგი მოთამაშეების სასწრაფოდ შესაძენად ფული აქაც არ ჰყოფნიდათ. მკვეთრად დაეცა შედეგიანობა. ჯონ ტოშაკი, როგორც მთავარი მწვრთნელი, უიმედობამ მოიცვა.

გუნდს ჩემპიონთა თასის გათამაშებაში მოსკოვის „სპარტაკთან“ საპასუხო მატჩში მიეცა შვება. სტუმრად ფრეს მიაღწია – 0-0, ასატანი ანგარიშია, „ბერნაბეუზე“ რომ დამაჯერებლად იგრძნო თავი. მაგრამ ჩვენს ხელმძღვანელთაგან ვილაცას ეშმაკი შეუჩნდა. სხვაგვარად ვერ ახსნის კაცი, დილით, მატჩის დღეს რატომ მომნახა კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა ერერამ და შემატყობინა, რომ ეს ჩემი ბოლო დღე იყო კლუბში, „შედეგის მიუხედავად?“ – „აბსოლუტურად“.

რამ უკბინათ? როგორ შეიძლება ასე მოექცე „რეალის“ ვეტერანს, რომელიც თვითონ მოიწვიეს დასახმარებლად? თამაშამდე თავი ბურუსში მეგონა. გუნდები მინდორზე გამოვიდნენ, ჩემი ადგილი დავიკავე სკამზე და ვგრძნობ – ჯდომა არ შემიძლია. „წავედი“, – ვუთხარი გვერდზე მჯდომ კამაჩოს – სევდიანი ფინალი. გულდასაწყვეტი გამოდგა თამაშიც. „რეალი“ დამარცხდა 1-3. ორი გოლი რადჩენკომ შეგვიგდო, რომელიც მერე ესპანეთში ჩამოვიდა, თამაშობდა „რასინგში“.

დიდი განსხვავებაა – ითამაშო და ავარჯიშო. როცა ავარჯიშებ, ვალდებული ხარ იფიქრო სხვაზე. კრუხი ხარ, წიწილებზე რომ ზრუნავს. და მათთან ხარობ, და არა შენით. და მიღწევებიც მათია და არა შენი.

მწ⋅რთნელი დაუცველია და დამოკიდ⋅⋅აული. უფეხბურთელებოდ იგი არაფერია. თუ ისინი ცუდებია, ვერაფერს მიაღწევ.

მთავარი მწვრთნელობა ძალიან ძნელია. არა მგონია თუ არის უფრო ძნელი მისია. შენ აქეთ მხარესა ხარ, მეორე მხარეს – ხელმძღვანელები, მათი თანაშემწეები, ჟურნალისტები, მოთამაშეები, ექიმები, მომსახურე პერსონალი, მაყურებლები, კლუბის წევრები და თაყვანისმცემლები. ყოველთვის შენ ხარ დამნაშავე. და ის, ვინც ამბობს, რომ მოსწონს მწვრთნელის პროფესია, თავსაც იტყუებს და სხვასაც ატყუებს. მწვრთნელი იმიტომ გახდა, რომ თამაში აღარ შეუძლია, შეუშალა ხელი ტრავმებმა, ასაკმა.

მწვრთნელი მომთხოვნი უნდა იყოს მოთამაშეებისადმი და არა კლუბის ბიუჯეტისადმი. მას არ შეუძლია, ვინც უნდა, ის იყიდოს თუ ფული არ არის. მისი უფლება იმაში მდგომარეობს, რომ ქვედა დივიზიონებში მონახოს საჭირო მოთამაშეები და მოამზადოს თავის გუნდში სათამაშოდ. მაგრამ შეიძლება იგი შეცდეს და სასურველ შედეგს ვერ მიაღწიოს. მწვრთნელი თვითონ კი არ იმარჯვებს, მას ხელეწიფება მხოლოდ მიზნის მისაღწევად მომართული კოლექტივის შექმნა, რომელშიც თითოეულ მოთამაშეს და სათადარიგოთა სკამზე მჯდომს გამარჯვება სწყურია. ხდება ხოლმე, როცა თავს გახვევენ მოთამაშეს. არაერთგზის შევხვედრივარ ასეთებს, მათ შორის „რეალში“ მუშაობისას. როგორ მოვიქცე? ასეთ მოთამაშეს ვეუბნებოდი: „ხედავ რვიანს?“ – მაშ ადექი და უთხარი მას, რომ ის ცუდად თამაშობს, შენ უკეთესი ხარ. და დაუმტკიცე.“

შემოწმება კი უნდა მოხდეს უკომპრომისო მატჩებში, სადაც მუხლები აუკანკალდება.

ყველაფერი ეს გავლილი მაქვს და განცდილი. განიცადა ჩემმა ოჯახმაც. ამიტომაც, რაც „რეალში“ მოხდა, მოვიკრიბე გამბედაობა და საკუთარ თავს ვუთხარი: „გეყოფა“!

*(დასასრული იქნება)*

*დასაწყისი იხ. „ლელო“ №72-81*

დასაწყისი იხ. „ლელო“ №72-81

# ირვინ „მეჯიკ“ ჯონსონი ჩრდილოეთ ევროპაში

ლეგენდარული ამერიკელი კალათბურთელი ირვინ ჯონსონი, მიმდინარე საკალათბურთო სეზონიდან ჩრდილოეთ ევროპის ლიგაში, კერძოდ, კოპენჰაგენის კლუბ „გრეიტ დეინში“ გაატარებს და მისი თამაშის ხილვა ევროპელებსაც შეეძლებათ. „კოპენჰაგენში დავრჩები იმდენ ხანს და ვითამაშებ იმდენს, რამდენიც საჭირო იქნება“ – აცხადებს ეს კალათბურთელი.


ჯონსონი

ევროპაში ჯონსონი პირველ მატჩს თავის ახალ კლუბში ითამაშებს 27 ოქტომბერს ლატვიის კლუბთან. „ჯადოქარი“ კალათბურთელის ხილვის საშუალება მიეცემათ რუსებსაც. როცა „მეჯიკის“ გუნდი შეხვდება „სამარას“, რომელიც ასევე ჩრდილო ევროპის საკალათბურთო ლიგის „ა“ ჯგუფში მოხვდა.

80-იან წლებში ჯონსონმა, როცა ის „ლეიკერსში“ თამაშობდა, ხუთჯერ აზიარა თავისი გუნდი ნბას ჩემპიონობას. 1991 წელს კი, მას შემდეგ, რაც შეიტყო შიდსის ვირუსის მატარებელი იყო, იძულებული გახდა დაესრულებინა თავისი სპორტული კარიერა. 1996 წელს იგი კვლავ დაბრუნდა ნბაში და ისევ გაიბრწყინა „ლეიკერსში“. ის წლები, როცა კალათბურთს ჩამოშორდა, ჯონსონმა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლას მიუძღვნა და საკუთარი ფონდიც შექმნა, ამასთან, არაერთი წიგნიც გამოსცა კალათბურთის სწავლებაზე. ეწევა აგრეთვე კომერციას. მისი ბოლო წარმატება ამ სფეროში „ჰამბურგერის“ რესტორნების ქსელის შეძენაა. 42 წლის ჯონსონი უახლოეს ხუთ წელიწადში ასი ახალი რესტორნის გახსნას გეგმავს მთელს ამერიკაში.

# დემენტიევა პირველი მილიონთან ახლოსაა


დემენტიევა

რუსეთელი ელენა დემენციევა ამ სეზონში ვტას ვერსიით პირველ ათეულში შედიოდა. ციურიხსა და ლინცეს ტურნირების შემდეგ, რითაც დასრულდა საჩოგბურთო ოქტომბერი, დემენტიევას დიდი შანსი აქვს მოხვდეს მიუნხენში ვტა-ს შემაჯამებელ ტურნირში. ახლახან „კრემლის თასზე“, ქალ ჩოგბურთელთა ტურნირში, დიმინტიევამ თითქმის დაჩრდილა კურნიკოვა — ჟურნალისტებმა ყურადღება მეტწილად ელენაზე გადაიტანეს, მით უფრო, რომ ამ ტურნირში რუსმა ქალიშვილმა მსოფლიოს პირველ ჩოგანს შვეიცარიელ მარტინა ჰინგისს ბრწყინვალედ სძლია.

ელენა დემენტიევამ სულ მალე შეიძლება თავისი პირველი მილიონი მიითვალოს რომელიმე ტურნირის საპრიზო ფონდიდან. საამისოდ ახლა ამ ჩოგბურთელს ყველა მონაცემი აქვს.

# ევგენი შმირინს სამუდამო დისკვალიფიკაცია

სანკტ-პეტერბურგის შორტ-ტრეკის ფედერაციის გადაწყვეტილებით, სამუდამოდაა დისკვალიფიცირებული 23 წლის ევგენი შმირინი. განაჩენი ასეა ფორმულირებული: „უღირსი საქციელისათვის“. მაინც რა ჩაიდინა ასეთი ამ ახალგაზრდა სპორტსმენმა, რომელიც საუკეთესო ოსტატად ითვლებოდა? თურმე ხასიათი ჰქონია აუტანელი, შეგირდს არაერთგზის მიუყენებია შეურაცხყოფა მწვრთნელებისთვის...

# კლიჩკოს მეტოქე ჯერ გაურკვეველია



ჯერ ისევ გაურკვეველია თუ ვინ იქნება ვლადიმირ კლიჩკოს შემდეგი მეტოქე. შედარებით კანდიდატებად ასახელებდნენ ფრენს ოკვენდოს და რეი მერსერს. რეალურად მერსერი მიიჩნეოდა. ახლა სიტუაცია შეიცვალა. 13 ოქტომბერს დანიაში გამართულ ტურნირში რეი მერსერიც მონაწილეობდა. მერსერმა შეიძლება უარი თქვას უმცროს კლიჩკოსთან შეხვედრაზე, რადგან გასულ შაბათს წარბი გაუსკდა. ახლა ამერიკელის ალტერნატივის ძიებაში არიან, რასაც ალბათ მთელი კვირა დასჭირდება. „მერსერი ღირსეული მეტოქე იყო, კვირის განმავლობაში ძლიერი მოკრივის მოძებნა კი ძალიან გაჭირდება“ — ამბობს ძმები კლიჩკოების პრომოუტერი.

# მძლეოსნობის მამები მოსკოვში შეიკრიბნენ



გუშინ, მოსკოვში საერთაშორისო ვაჭრობის ცენტრში გრძელდებოდა მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფი) მეცხრე კონფერენცია. მთავარი თემაა იააფის ეგიდით ჩატარებული შეჯიბრებების ორგანიზაცია. კერძოდ, განიხილება ოქროს ლიგის მსოფლიო „გრან-პრის“ საკითხი. მოსალოდნელია 2003 წლიდან შეჯიბრებების ჩატარების ახალი წესის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება. კონფერენციის შედეგები ამ კვირის ბოლოს გახდება ცნობილი.

# პროსტი მინისტრთან მიღებაზე


ალენ პროსტი

საფრანგეთის სპორტისა და ტურიზმის საქმეთა მინისტრმა ჟორჟ ბუფემ მიიწვია ფორმულა-1-ის ცნობილი ფრანგი მრბოლი ალენ პროსტი. ამ ვიზიტის შემდეგ პროსტმა განაცხადა, რომ მინისტრისთვის განსაკუთრებული არაფერი უთხოვია, ფულიც კი, რომელიც ასე საჭიროა. მინისტრთან მსჯელობა იყო მხოლოდ იმაზე, თუ რა არის ფრანგი მრბოლების წარუმატებლობის გამომწვევი მიზეზები, რატომ ვერ პოულობენ მრბოლები და სპონსორები ერთმანეთს. „თუ სიტუაცია არ გამოსწორდა, ღირსეულ კონკურენციას ვერ გავუწევთ მეტოქეებს, ამიტომ ჩვენს წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრაში არაერთი სამინისტრო და მისი მინისტრი, ან მედ სპონსორთა მთელი ჯგუფები უნდა ჩაერთოს“. — თქვა ალენ პროსტმა.

# მილიონი კრონი ცხენ-მხედარს

პორდუბიცეს ტრადიციული სტიპლ-ჩეიზის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დოღი 2900 მეტრზე, ყველასგან მოულოდნელად, რუსეთელი ცხენ-მხედრის, კერძოდ, როსტოველი რამილ დევიდოვისა და მისი მერნის გრებენის გამარჯვებით დასრულდა. ამ დისტანციაზე კონკურენტები იყვნენ ისრაელის, ჩეხეთის, ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, შვეიცარიისა და პოლონეთის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ რუსეთელს 22 წელიწადია პარდუბიცეს პოპულარულ ასპარეზობაში არ გაუმარჯვნია. წარმატებისთვის დევიდოვმა ერთი მილიონი ჩეხური კრონის საბანკო ჩეკი მიიღო.

# იულია მერკულოვა 6 საათი ციხეში ჰყავდათ


იულია მერკულოვა

ცნობილი რუსი სპორტსმენი ქალი, რომელიც მსოფლიო ჩემპიონია ათლეტიზმში, 6 საათი ფინეთის ციხეში ჰყავდათ გამომწყვდეული. გერმანიიდან, საერთაშორისო ტურნირის შემდეგ, იგი რუსეთის გავლით ბრუნდებოდა ფინეთში, სადაც ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში სწავლობს. გაუგებრობა მოხდა რუსეთ-ფინეთის საზღვარზე, ფინელ მესაზღვრეებს იგი „თვალში არ მოუვიდათ“, გაჩხრიკეს და 6 საათით გამოამწყვდიეს ციხეში. „გერმანიიდან რომ პირდაპირ გავმგზავრებულიყავი ფინეთში და გვერდი ამევლო რუსეთისთვის, ყველაფერი რიგზე იქნებოდა. ყველაზე უსიამოვნო იყო გაჩხრეკა, ეს ძალიან დამამცირებელია“ — განაცხადა სპორტსმენმა. მერკულოვა უკან გამოაბრუნეს. სანკტ-პეტერბურგში იგი ხელახლა აფორმებს ფინეთის ვიზას და ემზადება მომავალი შეჯიბრებისთვის, რომელიც 23 ოქტომბერს გაიმართება.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**19 ოქტომბერი, პარასკევი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. 17 წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი: საქართველო – ისრაელი. რეპორტაჟი თბ. „ლოკომოტივის“ სტადიონიდან (15.55), *რუსთავი-2.* ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა (15.20), *ევრიკა.* მსოფლიო სპორტი (10.45, 22.40). *ESPN.* იტალიის ფეხბურთი: მიმოხილვა (08.30), „პერუჯა“ – „რომა“ (28.30), მსოფლიო თასი (10.30, 14.30). *EUROSPORT.* რიტმული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი პირად ჩათვალში (17.30, 23.00), ფეხბურთი. უეფას თასი (20.00), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30, 3.45), *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგა: „ბარსელონა“ – „ბაიერი“ (14.20), მიმოხილვა (16.10), ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (17.30, 19.30, 21.55, 0.10), იაპონია – კორეა-2002 (21.10), იტალიის ჩემპიონატის მიმოხილვა (1.50), *НТВ плюс спорт.* კალათბურთი. ევროლიგა. ცსკა (რუსეთი) – „პანათინაიკოსი“ (15.10), ტაილანდური კრივი (19.00).

**20 ოქტომბერი, შაბათი**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი. 17 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (15.35), *რუსთავი-2.* ჩემპიონთა ლიგის საკვირაო მიმოხილვა (19.00), *მე-9 არხი.* ევროპის სტადიონებზე (20.00). *ESPN.* ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგა (08.00), ინგლისის ჩემპიონატი. „სანდერლენდი“ – „მანჩესტერი“ (10.00), მიმოხილვა (18.00), პირდაპირი რეპორტაჟი (18.50, 21.15), ცხენოსნობა. დაიჯესტი (00.30), *EUROSPORT.* ფეხბურთი. მსოფლიო ჩემპიონატის 2002-ის გზით (14.00), ველოსპორტი. მსოფლიო თასის ეტაპი (18.30, 3.15), რიტმული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი პირად ჩათვლაში (22.30), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (23.30), რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (1.30, 4.15). *НТВ плюс футбол.* ჩემპიონთა ლიგის ჰიტ-პარადი (13.15, 16.00), გერმანიის ჩემპიონატი (18.25), ინგლისის ჩემპიონატი (20.20), ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი (22.35), იტალიის ჩემპიონატი (23.25), *НТВ плюс спорт.* სპორტული ცეკვები. 2001 წლის მსოფლიო თასი, პროფესიონალები (15.00), მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი (20.00)

**21 ოქტომბერი, კვირა**

*საქართველოს ტელევიზია. I არხი.* ფეხბურთი: 17 წლამდელთა მსოფლიო ჩემპიონატის მიმოხილვა (13.40), საქართველოს ჩემპიონატი. „ლოკომოტივი“ – „ტორპედო“ (16.00, რეპორტაჟი თბ. „ლოკომოტივის“ სტადიონიდან), *ევრიკა.* „მსოფლიო სპორტი“ (23.30), *ESPN.* ფეხბურთი: ინგლისის ჩემპიონატი (08.00, 10.00) მიმოხილვა (17.00), „ნიუკასლი“ – „ტოტენჰემი“ (17.50), „ლიდსი“ – „ჩელსი“, პირდაპირი (20.00), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (22.30). *EUROSPORT.* რალი. მსოფლიო ჩემპიონატი (12.00, 1.30, 3.45), რიტმული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი პირად ჩათვლაში (22.00), სპორტის ახალი ამბები აშშ-დან (23.30, 1.15). *НТВ плюс футбол.* ჩემპიონატები: გერმანიის (13.15, 1.35), ინგლისის (15.10, 19.55), იტალიის (16.50, 23.30), რუსეთის (21.50). *НТВ плюс спорт.* სპორტული ცეკვები. 2001 წლის მსოფლიო თასი. ჩემპიონთა მეჯლისი (17.25), მხატვრული ტანვარჯიში. მსოფლიო ჩემპიონატი. ცალკეულ სახეობათა ფინალი (19.40), ტაილანდური კრივი (0.00).

# „სამი კ“ შეიძლება ორამდე შემცირდეს

საჭადრაკო ტურნირი „სამი კ“ შეიძლება კასპაროვ-კრამნიკის მატჩად იქცეს. ამასთან დაკავშირებით სამი მოჭადრაკის, კარპოვის, კასპაროვისა და კრამნიკის მატჩის ორგანიზატორები გადადების საკითხს არც განიხილავენ.

მატჩის ჩატარება დაგეგმილია მოსკოვში დეკემბრის პირველ დეკადაში, ამასობაში ანატოლი კარპოვმა გადაწყვიტა ისპარეზოს მსოფლიო ჩემპიონატში, იგი ფიდეს ეგიდით ტარდება, რომელიც ასევე მოსკოვში გაიმართება 24 ნოემბრიდან 11 დეკემბრის ჩათვლით. ამასთან, კარპოვი უარს არ ამბობს „სამი კ“-ს მატჩში მონაწილეობაზე, მაგრამ მოითხოვს ჩატარების ვადების გადაწევას...

„ჩვენ ჩავატარებთ კასპაროვ-კრამნიკის მატჩს. მართალია, ეს არ იქნება „სამი კ“-ს ტოლფასი, მაგრამ ბევრს არაფერს დაკარგავს მატჩი ორთა შეხვედრითაც კი“ — განაცხადა საორგანიზაციო კომიტეტის წევრმა სერგეი სმაგინმა.

# კროსვორდი №82



**თარაზულად:** 6. თბილისის ყოფილი საფეხბურთო კლუბი, 7. ფეხბურთში მსაჯის თანაშემწე, 8. ბრაზილიელი ვეტერანი ფეხბურთელი, 9. ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის აბრევიატურა, 10. წყალში მხტომელი ქართველი ქალი, 12. ტექნიკური ჯარიმა კალათბურთში, 13. ინგლისელი ფეხბურთელი, 14. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი შემოკლებით, 16 თბილისის „დინამოს“ ვეტერანი ფეხბურთელი, 19. არგენტინელი ლეგიონერი — თამაშობს ესპანეთის „მალიორკაში“, 21. ჩემპიონატში გამარჯვებული. 22. ილეთი ქართულ ჭიდაობაში, 24. გუნდური ილეთი რაგბიში, 25. საბერძნეთის საფეხბ. კლუბი.

**შვეულად:** 1. ვეტერანი ფრანგი ფეხბურთელი, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი ლეგიონერი, 2. „რეალის“ ფრანგი ლეგიონერი, 3. ვეტერანი ქართველი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 4. მექსიკელი ფეხბურთელი გარსია... 5. დოპინგის შემცველ ნივთიერებათა ერთობლიობა, 11. გერმანელი საფეხბურთო მწვრთნელის ფოგტსის სახელი, 14. შოტლანდიის საფეხბ. კლუბი, 15. ემოციების ხილული გამოხატვა, 17. ფეხბურთში 1958 წლის მს. ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყანა, 18. მეტალი, რომლისგანაც ერთ-ერთი ხარისხის მედალი მზადდება, 20. ცურვის ყაიდა, 23. ფრანგი ფეხბურთელი იბრაგიმ...

## კროსვორდი №81 ● პასუხები:

**თარაზულად:** 5 თეორემა, 6. „სკონტო“, 7. როიტერი, 8. იტო, 10. როდენი, 11. ბერლინი, 13.. ოტია, 14. ალი, 15. კალცი, 16. ტირი, 19. სპა, 21. ჰიეპატიტი, 22. კარაბადინი, 23. ოკა. **შვეულად:** 1. სოსიედადი, 2. დანი, 3. ფოსტალიონი, 4. „თორი“, 9. ანტიბიოტიკი, 12. ნაგასაკი, 17. კაირო, 18. იპონი, 20. საბო.

# საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული საჭადრაკო ამოცანის ამოხსნა:

1. მe6! 1. ...მფ:e6 2. ეc7X.
1. ...მფe4 2. ე:d4X.
1. ...d3 2. მc7X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 899 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX ● „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.